როგორ
მუშაობს
ევროკავშირი

12 გაკვეთილი ევროპის შესახებ

პასკალ ფონტენი

განმარტებები ევროკავშირის შესახებ

ეს პუბლიკაცია ერთ–ერთია პუბლიკაციების სერიიდან, რომელიც განმარტავს, თუ რას აკეთებს ევროკავშირი პოლიტიკის სხვადასხვა დარგში, რატომ არის ის ასე ჩართული და რა შედეგი მოაქვს მის საქმიანობას.

სხვა პუბლიკაციები შეგიძლიათ ჩამოტვითროთ შემდეგი ბმულიდან:
http://europa.eu/pol/index_en.htm

როგორ მუშაობს ევროკავშირი
ევროპა 2020
12 გაკვეთილი ევროპის შესახებ ✖
ევროკავშირის დამფუძნებელი მამები

სოფლის მეურნეობა
საზღვრები და უსაფრთხოება
ბიუჯეტი
კლიმატის ცვლილება
კონკურენცია
მომხმარებელი
კულტურა და აუდიოვიზუალური სამსახური
საბაჟო
განვითარება და თანამშრომლობა
ციფრული დღის წესრიგი
ეკონომიკური და მონეტარული კავშირი და ევრო
განათლება, ტრენინგი, ახალგაზრდობა და სპორტი
დასაქმება და სოციალური საკითხები
ენერგეტიკა
გაფართოება
საწარმოები
გაყალბებასთან ბრძოლა
სურსათის უვნებლობა
საგარეო საქმეები და უსაფრთხოების პოლიტიკა
ჰუმანიტარული დახმარება და სამოქალაქო თავდაცვა
შიდა ბაზარი
სამართალი, მოქალაქეობა და ძირითადი უფლებები
საზღვაო საკითხები და თევზჭერა
მიგრაცია და თავშესაფარი
სახელმწიფო ჯანდაცვა
რეგიონული პოლიტიკა
კვლევა და ინოვაციები
გადასახადები
ვაჭრობა
ტრანსპორტი

როგორ მუშაობს ევროკავშირი
12 გაკვეთილი ევროპის შესახებ
ავტორი: პასკალ ფონტენი

ევროკომისია
კომუნიკაციის გენერალური დირექტორატის გამოცემები
1049 ბრიუსელი, ბელგია

ხელნაწერი განახლებულია 2014 წლის იანვარში.
ყდა და ილუსტრაცია მე-2 გვერდზე: © Maciej Frolow/ Brand X Pictures/Jupiterimages

16 pp. – 21 x 29.7 სმ
ISBN
doi:

ლუქსემბურგი: ევროკავშირის ოფიციალური გამოცემების სამსახური

© ევროკავშირი, 2014

გამრავლება ნებადართულია. ნებისმიერი გამოყენების ან ცალკეული ფოტოების ასლების გადაღების მიზნით ნებართვა უნდა აიღოთ უშუალოდ საავტორო უფლების მქონე პირთაგან.

როგორ მუშაობს
ევროკავშირი

12 გაკვეთილი ევროპის შესახებ

ავტორი: პასკალ ფონტენი

სარჩევი

1. რატომ გახდა საჭირო ევროკავშირის ჩამოყალიბება? 3

2. ათი ისტორიული ნაბიჯი 6

3. ევროკავშირის გაფართოება და მეზობლებთან ურთიერთობა 8

4. როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირი? 11

5. რას აკეთებს ევროკავშირი? 16

6. ერთიანი ბაზარი 21

7. ევრო 24

8. სწრაფვა ცოდნისა და ინოვაციისკენ 27

9. რას ნიშნავს, იყო ევროპის მოქალაქე? 28

10. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება ევროპაში 31

11. ევროკავშირი მსოფლიო არენაზე 34

12. როგორი მომავალი ელის ევროპას? 37

უმთავრესი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში 39

1. რატომ გახდა საჭირო ევროკავშირის ჩამოყალიბება?

ევროპის მისია 21-ე საუკუნეში:

- *მის წევრ სახელმწიფოებს შორის მიღწეული მშვიდობის შენარჩუნება და განვითარება;*
- *ევროპის ქვეყნებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გამყარება;*
- *ევროპის მოქალაქეებისთვის უსაფრთხო ცხოვრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;*
- *ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის ხელშეწყობა;*
- *გლობალიზებულ მსოფლიოში ევროპის ხალხთა იდენტობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნება;*
- *ევროპელთა საზიარო ფასეულობების ერთგულება.*

I. მშვიდობა

სანამ რეალურ პოლიტიკურ მიზნად იქცეოდა, ევროპის გაერთიანების იდეა მხოლოდ ფილოსოფოსებისა და მეოცნებეების იდეალი იყო. მაგალითად, ვიქტორ ჰიუგო მშვიდობიან, ჰუმანისტური იდეალებით გამსჭვალულ „ევროპის შეერთებულ შტატებზე“ ოცნებობდა. ეს ოცნება დაამსხვრია იმ საშინელმა ომებმა, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტს აურაცხელი ნგრევა რომ მოუტანა.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებზე ახლებური იმედი აღმოცენდა. იმ ადამიანებს, ვინც ომის დროს ტოტალიტარიზმს ებრძოდა, გადაწყვეტილი ჰქონდათ, ბოლო მოეღოთ საერთაშორისო სიძულვილისთვის და მტრობისთვის ევროპაში და შეექმნათ პირობები მშვიდობიანი ცხოვრებისთვის. 1945-1950 წლებში რამდენიმე გაბედულმა სახელმწიფო მოღვაწემ, მათ შორის რობერ შუმანმა, კონრად ადენაუერმა, ალჩიდე დე გასპერიმ და უინსტონ ჩერჩილმა გადაწყვიტეს, თავიანთი ხალხები ახალ ეპოქაში გადასვლაში დაერწმუნებინათ. დასავლეთ ევროპაში საერთო ინტერესებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდებოდა ახალი სტრუქტურები და მათ საფუძვლად დაედებოდა ხელშეკრულებები, რომლებიც კანონის უზენაესობას და ყველა ქვეყანას შორის თანასწორობას უზრუნველყოფდა.

ჟან მონეს იდეით შთაგონებულმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა 1950 წლის 9 მაისს წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. იმ ქვეყნებში, რომლებიც ოდესღაც ერთმანეთს ებრძოდნენ, ქვანახშირის მოპოვება და ფოლადის წარმოება გაერთიანდებოდა და დაექვემდებარებოდა ერთ უმაღლეს ორგანოს. პრაქტიკული, მაგრამ ასევე ძალზე სიმბოლური სახით ომისთვის გამოყენებული ნედლეული ურთიერთშერიგებისა და მშვიდობის მისაღწევ ინსტრუმენტებად იქცეოდა.

II. ევროპის გაერთიანება

ევროკავშირი მხარს უჭერდა გერმანიის გაერთიანებას 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ათწლეულობის განმავლობაში „რკინის ფარდის“ მიღმა იყვნენ მოქცეულნი, მიეცათ შესაძლებლობა, აერჩიათ საკუთარი ბედი. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა, რომ მათი მომავალი დემოკრატიული ევროპის ხალხთა რიგებშია. ამ ქვეყნებიდან რვა ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდა, კიდევ ორი – 2007 წელს და ხორვატია – 2013 წელს.

ევროკავშირის გაფართოების პროცესი დღემდე გრძელდება. რვა ქვეყანა მომავალი შესაძლო წევრობისთვის მომზადების სხვადასხვა ეტაპზეა.

© Robert Maass/Corbis

1989 წელს ბერლინის კედლის ნგრევამ ხელი შეუწყო ძველი გამყოფი ხაზების თანდათანობით ნგრევას ევროპის კონტინენტზე.

III. უშიშროება და უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ევროპის წინაშე კვლავ დგას უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხები. ევროკავშირმა ქმედითი ზომები უნდა გაატაროს თავისი წევრი სახელმწიფოების უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მან კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს მისი საზღვრების მახლობლად მდებარე რეგიონებთან: ბალკანეთთან, ჩრდილოეთ აფრიკასთან, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთთან. მან ასევე უნდა დაიცვას საკუთარი სამხედრო და სტრატეგიული ინტერესები თავის მოკავშირეებთან (განსაკუთრებით, ნატო-ს წევრებთან) თანამშრომლობით და ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბებით.

შიდა და გარე უსაფრთხოება ერთი მედლის ორი მხარეა. ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყნის პოლიციის ძალებმა აქტიურად და მჭიდროდ ითანამშრომლონ. ევროკავშირის ქცევა „სივრცედ, სადაც გამეფებული იქნება თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება“, სადაც ყველა ადამიანს თანაბრად შეეძლება მართლმსაჯულებით სარგებლობა და ყველას ერთნაირად დაიცავს კანონი, ახალი გამოწვევაა, რომელიც საჭიროებს მთავრობებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. უფრო აქტიური და ქმედითი როლი უნდა ითამაშონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არის „ევროპოლი“, ევროპის პოლიციის სამსახური, და „ევროჯასტი“, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის პროკურორებს, მოსამართლეებსა და პოლიციის ოფიცრებს შორის.

IV. ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობა

ევროკავშირი შეიქმნა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ამ მიზნების მიღწევას იგი ეკონომიკაში თანამშრომლობის მეშვეობით აპირებს.

ევროკავშირის ქვეყნებში მსოფლიოს მოსახლეობის საკმაოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს. ამიტომ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეკონომიკური განვითარება და შეძლონ მსოფლიო არენაზე არსებულ სხვა მძლავრ ეკონომიკურ სისტემებთან კონკურენცია, ამ ხალხებმა უნდა გააგრძელონ გაერთიანება. ევროკავშირის არც ერთი ცალკე აღებული ქვეყანა არ არის საკმარისად ძლიერი საიმისოდ, რომ მარტომ მოახერხოს მსოფლიო ვაჭრობაში აქტიურად ჩაბმა. მასშტაბზე გათვლილი ეკონომიკის მისაღწევად და ახალი მომხმარებლების მოსაპოვებლად ევროპულ კომპანიებს უფრო ფართო ასპარეზი სჭირდებათ, ვიდრე მათი შიდა ბაზრებია და ევროპის ერთიანი ბაზარი სთავაზობს მათ ამ ასპარეზს. იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს სარგებელი ევროპის ერთიანი ბაზრისაგან, რომელიც 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს, ევროკავშირი ყველა ღონეს ხმარობს, რათა აღმოფხვრას ვაჭრობის წინაშე არსებული დაბრკოლებები და გაათავისუფლოს კომპანიები ზედმეტი ბიუროკრატიისგან.

მაგრამ ევროპის მასშტაბის თავისუფალი კონკურენცია ევროპის მასშტაბის სოლიდარობამ უნდა დააბალანსოს. ამას ევროპის მოქალაქეებისათვის აშკარა, ხელშესახები უპირატესობები მოაქვს: როდესაც ისინი წყალდიდობებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლნი ხდებიან, ისინი დახმარებას ევროკავშირის ბიუჯეტიდან იღებენ. სტრუქტურული ფონდები, რომელთაც ევროკომისია მართავს, ხელს უწყობს და ავსებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული და რეგიონული ხელისუფლებების მცდელობებს, შეამცირონ ევროპის სხვადასხვა ნაწილს შორის არსებული უთანასწორობა. ფულადი სახსრები ევროკავშირის ბიუჯეტიდან და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხები გამოიყენება ევროპის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (მაგალითად, ავტომაგისტრალებისა და ჩქაროსნული რკინიგზების გასაფართოებლად), ეს კი იძლევა მოშორებულ რეგიონებში ადვილად მისვლის და ტრანსევროპული ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობას.

2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ეკონომიკის ყველაზე მწვავე ვარდნა გამოიწვია ევროკავშირის ისტორიაში. წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს და ევროკავშირის ინსტიტუტებს სწრაფად უნდა ემოქმედათ ბანკების გადასარჩენად და ევროკავშირმა ფინანსური დახმარება გამოუყო ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებს. საერთო ვალუტის არსებობამ ხელი შეუწყო ევროს სივრცის დაცვას სპეკულაციისა და დევალვაციისაგან. 2010 წელს ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები შეთანხმებულად შეეცადნენ, შეემცირებინათ მათი სახელმწიფო ვალები. მომავალ წლებში ევროპის ქვეყნებისათვის დიდი გამოწვევა იქნება ერთად დგომა გლობალური კრიზისის პირისპირ და კრიზისიდან გამოსავალი და მდგრადი განვითარების გზების ერთად ძიება.

V. ევროპული ქვეყნების თვითმყოფადობა და მრავალფეროვნება მსოფლიოში, რომელშიც გლობალიზების პროცესები მიმდინარეობს

ევროპის პოსტინდუსტრიული საზოგადოებები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ცხოვრების დონე სტაბილურად იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ეს განსხვავებები შეიძლება გაფართოვდეს ისეთი ფაქტორების შედეგად, როგორებიც არის ეკონომიკური კრიზისი, წარმოების ადგილის შეცვლა, მოსახლეობის დაბერება და სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნები ერთობლივი ძალისხმევით შეეცადონ ამ პრობლემების მოგვარებას.

მაგრამ ერთობლივი ძალისხმევის გაწევა არ ნიშნავს ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების კულტურული თუ ენობრივი თავისებურებების დაკნინებას. პირიქით, ევროკავშირის მიერ წარმოებული სხვადასხვა საქმიანობა ხელს უწყობს რეგიონული თავისებურებებისა და ტრადიციებისა და კულტურების მდიდარი მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის ყველა სახელმწიფო ნახავს სარგებელს. ევროპული ინტეგრაციის სამოცწლიანმა ისტორიამ ცხადყო, რომ ევროკავშირი, როგორც მთლიანობა, ბევრად მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი: მას გაცილებით მეტი ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, კომერციული და პოლიტიკური ზეგავლენა აქვს, ვიდრე სათითაოდ მის წევრ სახელმწიფოებს ექნებოდათ, ცალ-ცალკე რომ უწევდეთ მოქმედება. ერთობლივად მოქმედებას და ერთხმად - ევროკავშირის სახით - გამოსვლას დამატებითი სიკეთე მოაქვს.

მრავალფეროვანთა ერთობა: ერთად მუშაობას უკეთესი შედეგები მოაქვს.

დღევანდელ მსოფლიოში მზარდი ეკონომიკის ქვეყნები, როგორებიც არიან ჩინეთი, ინდოეთი და ბრაზილია, მზად არიან, გაუტოლდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც გლობალური ზესახელმწიფოები. ამიტომ დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასოდეს ერთად დგომა და „კრიტიკული მასის“ მიღწევა და ამით მსოფლიო არენაზე საკუთარი ზემოქმედების შენარჩუნება.

როგორ ახორციელებს ევროკავშირი ამ ზემოქმედებას?

- ევროკავშირი მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ძალაა და ამიტომ გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთაშორისო მოლაპარაკებებში, როგორიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 159 წევრს შორის მოლაპარაკებები ან კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონფერენციებია;
- ევროკავშირს მკაფიო პოზიცია უკავია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანებზე ახდენს ზეგავლენას, როგორიც არის გარემოს დაცვა, განახლებადი ენერგიის წყაროები, „პრევენციული პრინციპი“ სურსათის უსაფრთხოებაში, ბიოტექნოლოგიების ეთიკური ასპექტები, გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ჯიშების დაცვის საჭიროება და ა.შ.;
- ევროკავშირი გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად მიმართული მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მცდელობების წინა ხაზზეა. 2008 წლის დეკემბერში მან საკუთარი ინიციატივით აიღო ვალდებულება, 2020 წლისთვის 20%-ით შეამციროს სათბურის აირის ემისიები.

ძველი გამოთქმა „ძალა ერთობაშია“ დღეს ისევე აქტუალურია ევროპელებისთვის, როგორც ყოველთვის.

VI. ფასეულობები

ევროკავშირს ამოძრავებს სურვილი, ხელი შეუწყოს ჰუმანური და პროგრესული ფასეულობების დამკვიდრებას და უზრუნველყოს, რომ კაცობრიობამ ისარგებლოს უზარმაზარი მიმდინარე გლობალური ცვლილებებით და არ შეეწიროს მათ მსხვერპლად.

ადამიანების საჭიროებებს ვერ დააკმაყოფილებს მხოლოდ საბაზრო ძალები ან ცალკეული ქვეყნების მიერ განხორციელებული ცალმხრივი ქმედებები.

ევროკავშირი მოწოდებულია, დაამყაროს ჰუმანიზმი და საზოგადოების ისეთი მოდელი, რომელსაც მისი მოქალაქეების უმრავლესობა ემხრობა. ევროპელები უფრთხილდებიან ფასეულობათა მდიდარ მემკვიდრეობას: რწმენას ადამიანის უფლებებში, სოციალურ სოლიდარობას, თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიან განაწილებას, უფლებას, გარემო დაცული იყოს, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემის და ტრადიციებისა და პროგრესის ჰარმონიული შერწყმის უფლებას.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 2000 წლის დეკემბერში ნიცაში გამოქვეყნდა. ლისაბონის ხელშეკრულების (რომელიც 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა ძალაში) წყალობით იგი დღეს სამართლებრივად სავალდებულო შესასრულებელია. ქარტიაში ჩამოყალიბებულია ყველა ის უფლება, რომლებსაც დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მათი მოქალაქეები აღიარებენ. ამ ფასეულობებს შესწევთ უნარი, წარმოქმნან სიახლოვისა და ერთობის განცდა ევროპელებს შორის. ამის თუნდაც ერთ მაგალითად ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოდგება.

2. ათი ისტორიული ნაბიჯი

- *1951: ექვსმა დამფუძნებელმა სახელმწიფომ დააარსა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება*
- *1957: იმავე ექვსმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა რომის ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა („ევროატომი“)*
- *1973: ევროგაერთიანებები გაფართოვდა: მათ წევრთა რაოდენობა ცხრა გახდა და შემოღებული იქნება სხვადასხვა საერთო პოლიტიკა*
- *1979: ჩატარდა ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები*
- *1981: ევროგაერთიანებას პირველად უერთდება ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანა*
- *1992: ევროპის ერთიანი ბაზარი რეალობად იქცა*
- *1993: მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა ევროკავშირი*
- *2002: ბრუნვაში შემოდის ევრო*
- *2007: ევროკავშირში 27 წევრი სახელმწიფოა*
- *2009: ძალაში შედის ლისაბონის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე იცვლება ევროკავშირის ფუნქციონირების მექანიზმი*

1.

1950 წლის 9 მაისის „შუმანის დეკლარაციაში“ მოცემული იყო წინადადება ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების (ECSC) შექმნის შესახებ. ეს რეალობად იქცა 1951 წლის 18 აპრილს პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებამ დააარსა ქვანახშირისა და ფოლადის ერთიანი ბაზარი ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოსათვის (ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი). გაერთიანების შექმნის მიზანს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ევროპის გამარჯვებული და დამარცხებული ქვეყნებისათვის მშვიდობის უზრუნველყოფა, თანასწორი პირობების შექმნა და ერთობლივი ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობის მიცემა.

2.

გაერთიანების ექვსმა წევრმა გადაწყვიტა, დაეარსებინა ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა („ევროატომი“) და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (EEC) და 1957 წლის 25 მარტს ხელი მოაწერა რომის ხელშეკრულებებს. ევროპის ეკონომიკური გაერთიანება გულისხმობდა საქონლისა და მომსახურების უფრო ფართო ერთიანი ბაზრის შექმნას. 1968 წლის 1 ივლისს მთლიანად გაუქმდა საბაჟო მოსაკრებლები ამ ექვს ქვეყანას შორის. 1960-იანი წლების განმავლობაში დამკვიდრდა საერთო პოლიტიკა, განსაკუთრებით ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში.

3.

წამოწყება იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ გაერთიანებაში გაწევრიანება დანიამ, ირლანდიამ და გაერთიანებულმა სამეფომაც გადაწყვიტეს. ეს პირველი გაფართოება ექვსიდან ცხრა წევრამდე 1973 წელს მოხდა. ამავე დროს შემოღებული იქნა ახალი სოციალური და გარემოს დაცვის პოლიტიკა, ხოლო 1975 წელს ჩამოყალიბდა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი.

1950 წლის 9 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა საჯაროდ პირველად წარმოადგინა ის იდეები, რომლებიც ევროკავშირს დაედო საფუძვლად. ასე რომ, მას შემდეგ 9 მაისს ევროკავშირი დაბადების დღეს აღნიშნავს.

4.

1979 წლის ივნისში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – ჩატარდა ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით. არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება.

5.

1981 წელს გაერთიანებას შეუერთდა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია. ამან უფრო გააძლიერა გაერთიანების პოზიცია სამხრეთ ევროპაში და აუცილებელი გახდა მისი რეგიონული დახმარების პროგრამების გაფართოება.

6.

1980-იანი წლების დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა „ევროპესიმიზმის“ აღმოცენება გამოიწვია. თუმცა 1985 წლიდან მოყოლებული შეიმჩნევა იმედის გამოცოცხლება. ამ დროს ევროკომისიამ (მაშინდელი პრეზიდენტი - ჟაკ დელორი) გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი“, რომელშიც მიზნად დაისახა 1993 წლის 1 იანვრისათვის ერთიანი ბაზრის დაარსება. ეს პატივმოყვრული მიზანი 1986 წლის თებერვალში ხელმოწერილმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა დაადასტურა. აქტი ძალაში 1987 წლის 1 ივლისს შევიდა.

7.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც 1990 წლის ოქტომბერში გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებამ საბჭოური კონტროლისაგან და მათმა შემდგომმა დემოკრატიზაციამ გადაასხვაფერა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურა. 1991 წლის დეკემბერში თავად საბჭოთა კავშირიც დაიშალა.

ამავე დროს წევრი სახელმწიფოები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ევროკავშირის შესახებ ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც დამტკიცებული იქნა მაასტრიხტში 1991 წლის დეკემბერში გამართულ ევროპული საბჭოს სხდომაზე (სახელმწიფოთა პრეზიდენტების და/ან პრემიერ-მინისტრების სხდომა). გაერთიანების არსებული სისტემისთვის სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის (ისეთ სფეროებში, როგორებიც არის საგარეო პოლიტიკა და შიდა უსაფრთხოება) დამატებით მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა ევროკავშირი. ხელშეკრულება 1993 წლის 1 ნოემბერს შევიდა ძალაში.

8.

1995 წელს ევროკავშირს კიდევ სამი ქვეყანა შეუერთდა – ავსტრია, ფინეთი და შვედეთი – და კავშირის წევრთა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა. იმ დროისათვის ევროპის წინაშე გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებით განპირობებული გამოწვევები დადგა. ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სულ უფრო მზარდი გამოყენების შედეგად ხდებოდა ეკონომიკის მოდერნიზება, თუმცა ეს სოციალურ და კულტურულ ამოცანებსაც სახავდა.

ამასობაში ევროკავშირი იმ დროისათვის თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევის - საერთო ვალუტის დაარსების გზაზე იდგა. საერთო ვალუტის შემოღება მიზნად ისახავდა ცხოვრების გაადვილებას ბიზნესისთვის, მომხმარებლებისა და მოგზაურებისთვის. 2002 წლის 1 იანვარს ევრომ შეცვალა ეროვნული ვალუტა ევროკავშირის 12 ქვეყანაში და შეიქმნა ე.წ. „ევროს სივრცე“. დღეს ევრო აშშ დოლართან ერთად მსოფლიოს ძირითადი ფულადი ერთეულია.

9.

1990-იანი წლების შუახანებში დაიწყო სამზადისი უპრეცედენტო მასშტაბის ახალი გაფართოებისათვის. განაცხადები ევროკავშირში გაწევრიანებაზე შემოიტანეს ყოფილი საბჭოური ბლოკის ექვსმა ქვეყანამ (ბულგარეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, სლოვაკეთმა, უნგრეთმა და ჩეხეთის რესპუბლიკამ), უწინ საბჭოთა კავშირში შემავალმა ბალტიისპირეთის სამმა სახელმწიფომ (ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ), ყოფილი იუგოსლავიის ერთმა რესპუბლიკამ (სლოვენიამ) და ორმა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანამ (კვიპროსმა და მალტამ).

ევროკავშირი სიხარულით შეხვდა ამ შესაძლებლობას – დახმარება გაეწია ევროპის კონტინენტის სტაბილიზებისთვის და ევროპული ინტეგრაციით მოტანილი უპირატესობებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა ამ სახელმწიფოებისთვის, რომლებშიც დემოკრატიის განვითარების პროცესებს ჩაეყარა საფუძველი. მოლაპარაკება წევრობის თაობაზე 1997 წლის დეკემბერში დაიწყო და 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირს 10 კანდიდატი ქვეყანა შეუერთდა. ამ სახელმწიფოებს 2007 წელს ბულგარეთი და რუმინეთიც მიჰყვნენ, ხოლო 2013 წელს ხორვატია, რის შედეგადაც ევროკავშირის წევრთა რაოდენობა 28 გახდა.

10.

იმისათვის, რომ თვალი გაესწორებინა 21-ე საუკუნის რთული გამოწვევებისთვის, გაფართოებულ ევროკავშირს სჭირდებოდა უფრო მარტივი და ეფექტიანი მეთოდი ერთობლივი გადაწყვეტილებების მისაღებად. 2004 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილი იქნა ახალი წესები. კონსტიტუციას უნდა ჩაენაცვლებინა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება. მაგრამ ეს დოკუმენტი უარყოფილი იქნა ორი წევრი ქვეყნის მიერ 2005 წელს ჩატარებული რეფერენდუმების შედეგად. ამიტომ კონსტიტუცია ჩაანაცვლა ლისაბონის ხელშეკრულებამ, რომელსაც 2007 წლის 13 დეკემბერს მოეწერა ხელი და ძალაში 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ძველი ხელშეკრულებების ტექსტის ცვლილება (თუმცა იგი არ ანაცვლებს მათ) და ამ ცვლილებათა უმეტესობა არის კონსტიტუციაში გათვალისწინებული ცვლილებები. მაგალითად, ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე შემოღებულია ევროპული საბჭოს მუდმივი პრეზიდენტის თანამდებობა და საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა.

ამავე დროს დაიწყო მსოფლიო მასშტაბის ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი. ამან გამოიწვია ევროკავშირის ახალი მექანიზმების ჩამოყალიბება ბანკების სტაბილურობის უზრუნველყოფის, სახელმწიფო ვალების შემცირებისა და წევრი სახელმწიფოების (განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებისა, სადაც ევროა შემოღებული) ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირების მიზნით.

3. ევროკავშირის გაფართოება და მეზობლებთან ურთიერთობა

- *ევროკავშირის კარი ღიაა ევროპის ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც აკმაყოფილებს წევრობისთვის დაწესებულ დემოკრატიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს.*
- *რამდენიმე გაფართოების შედეგად ევროკავშირი გაიზარდა: თავდაპირველი ექვსის ნაცვლად დღეს მასში 28 წევრი შედის. 2013 წლისთვის კიდევ რვა სახელმწიფო აწარმოებს მოლაპარაკებას წევრობაზე ან მომზადების სხვადასხვა ეტაპზეა. ნებისმიერი ახალი წევრის მიღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება საჭიროებს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ერთსულოვან დამტკიცებას. გარდა ამისა, ყოველ ახალ გაფართოებამდე ევროკავშირმა უნდა შეაფასოს თავისი უნარი, მიიღოს ახალი წევრი (წევრები), ასევე თავისი ინსტიტუტების შესაძლებლობა, გააგრძელონ სათანადო ფუნქციონირება.*
- *ევროკავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ევროპაში დემოკრატიისა და უსაფრთხოების განმტკიცებას და სტაბილიზებას და გააძლიერა კონტინენტის პოტენციალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.*

I. კონტინენტის გაერთიანება

(ა) კავშირი, რომელშიც 28 წევრი შედის

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენში გამართულ სხდომაზე ევროპულმა საბჭომ ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ევროკავშირმა, რომელმაც 12 სახელმწიფოს შესთავაზა მასში გაწევრიანება, არა მარტო თავისი გეოგრაფიული არეალი და მოსახლეობა გაზარდა, არამედ ბოლო მოუღო 1945 წლიდან მოყოლებული კონტინენტის გახლეჩასაც. ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ დემოკრატიულ თავისუფლებას, ბოლოს და ბოლოს მიეცათ შესაძლებლობა, შეერთებოდნენ ევროპის დემოკრატიულ ოჯახს. 2004 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, ასევე ხმელთაშუაზღვისპირა კვიპროსი და მალტა. 2007 წელს ამ სახელმწიფოებს ბულგარეთი და რუმინეთიც შეუერთდნენ. პროცესის ნაწილი გახდა ხორვატიაც, რომელმაც განაცხადი გაწევრიანებაზე 2003 წელს შეიტანა, წევრი კი 2013 წელს გახდა. დღეს ეს ქვეყნები პარტნიორები არიან ევროკავშირის დამფუძნებელი მამების მიერ წამოწყებული უზარმაზარი პროექტის ფარგლებში.

(ბ) მიმდინარე მოლაპარაკება

თურქეთმა, რომელიც ნატო-ს წევრია და დიდი ხნის წინ აქვს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ ხელშეკრულება ევროკავშირთან, წევრობაზე განაცხადი 1987 წელს შეიტანა. ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური წარსულის გამო ევროკავშირში დიდხანს იკავებდნენ თავს თურქეთის მიერ შემოტანილ გაწევრიანების განაცხადზე დადებითი პასუხისაგან, თუმცა ბოლოს დათანხმდნენ და 2005 წლის ოქტომბერში დაიწყო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკება თურქეთთან. ევროკავშირის ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, გახდება და უნდა გახდეს თუ არა თურქეთი ევროკავშირის წევრი. მათ ალტერნატიული შემოთავაზება აქვთ - „პრივილეგირებული პარტნიორობა“.

დასავლეთი ბალკანეთის ქვეყნები, რომელთა უმრავლესობა ერთ დროს იუგოსლავიის შემადგენლობაში შედიოდა, ასევე ცდილობენ, ევროკავშირისაკენ აიღონ გეზი და ამ გზით დააჩქარონ ეკონომიკური გარდაქმნები, გაუმჯობესონ ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე გაჩაღებული ომებით გამოწვეული რთული ურთიერობები და განავითარონ დემოკრატიული ინსტიტუტები. ევროკავშირმა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა ალბანეთს, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას, მონტენეგროსა და სერბეთს. გაწევრიანების პოტენციური კანდიდატია ბოსნია და ჰერცეგოვინა. კოსოვომ დამოუკიდებლობა 2008 წელს გამოაცხადა და მას ასევე შეუძლია გახდეს კანდადატი ქვეყანა, როდესაც დასრულდება მის მომავალთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკება.

ისლანდიამ, რომელზეც მძიმე ზეგავლენა მოახდინა 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა, განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე 2009 წელს შეიტანა. მოლაპარაკება გაწევრიანების თაობაზე 2013 წელს თავად ქვეყნის თხოვნით შეჩერებული იქნა.

II. გაწევრიანების პირობები

ა) სამართლებრივი მოთხოვნები

ევროპული ინტეგრაცია პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესია. მასში მონაწილეობა შეუძლია ევროპის ყველა იმ ქვეყანას, რომელიც მზად არის, შეუერთდეს ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს და სრულად გაიზიაროს ევროკავშირის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა. ლისაბონის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეიტანოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე, თუკი იგი იცავს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

„ადრიატიკის მარგალიტის“ სახელით ცნობილი დუბროვნიკი ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოში, ხორვატიაში მედბარეობს.

ბ) „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“

1993 წელს, მას შემდეგ, რაც უწინ კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნებმა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს, ევროპულმა საბჭომ შეიმუშავა სამი კრიტერიუმი, რომლებიც ამ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის უნდა დაეკმაყოფილებინათ. იმისათვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანდნენ, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ:

- სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის არსებობას და ადამიანის უფლებების და უმცირესობათა უფლებების დაცვას;
- მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი, გაუძლონ ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენციას და ბაზრის წესებს;
- უნარი, შეასრულონ ევროკავშირის წევრობით დაკისრებული ვალდებულებები და მხარი დაუჭირონ ევროკავშირის საერთო მიზნების განხორციელებას. ამ ქვეყნებში უნდა იყოს ისეთი სახელმწიფო ადმინისტრაცია, რომელიც შეძლებს ევროკავშირის კანონმდებლობის გამოყენებას და მის განხორციელებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გ) ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი

ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკება იმართება ყოველ კანდიდატ ქვეყანასა და ევროკომისიას შორის, რომელიც ევროკავშირს წარმოადგენს. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ამა თუ იმ ქვეყნისათვის ევროკავშირში გაწევრიანების უფლების მინიჭება ევროკავშირის ყველა წევრის (რომლებიც ევროპულ საბჭოზე შეიკრიბებიან) ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს. თავისი დადებითი დამოკიდებულება წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ევროპარლამენტმაც უნდა გამოხატოს. შემდეგ უნდა მოხდეს ევროკაშირის ყველა ქვეყნისა და კანდიდატი ქვეყნის მიერ გაწევრიანების თითოეული ხელშეკრულების რატიფიცირება იმ საკონსტიტუციო პროცედურების შესაბამისად, რომლებიც თითოეულ ამ ქვეყანაში მოქმედებს.

მოლაპარაკების პროცესში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნები იღებენ ფინანსურ დახმარებას ევროკავშირისაგან, რაც უადვილებს მათ, ეკონომიკურად დაეწიონ ევროკავშირის ქვეყნებს. ჩვეულებრივ, ისინი აფორმებენ ასევე „სტაბილიზებისა და ასოცირების შესახებ ხელშეკრულებებს“ ევროკავშირთან. ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე ევროკავშირი უშუალო მონიტორინგს აწარმოებს იმ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებზე, რომლებიც კანდიდატმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ შეასრულონ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის დაწესებული პირობები.

III. რა სიდიდის შეიძლება გახდეს ევროკავშირი?

ა) გეოგრაფიული საზღვრები

ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით ჩატარებულ საჯარო დებატებში გამომჟღავნდა, რომ ბევრ ევროპელს აწუხებს ევროკავშირის საბოლოო საზღვრებთან და თვითმყოფადობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხებზე მარტივი პასუხი არ არსებობს, მით უმეტეს, როდესაც ყოველი სახელმწიფო თავის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესს განსხვავებულად განიხილავს. ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი მხარს უჭერენ ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანებს. რას ფიქრობენ ამის შესახებ უკრაინის მეზობლები? პრობლემებს ქმნის ბელარუსში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და მოლდოვის სტრატეგიული მდებარეობაც. თურქეთის გაწევრიანება დღის წესრიგში დააყენებს კავკასიის ისეთი ქვეყნების სტატუსის განსაზღვრას, როგორებიცაა საქართველო და სომხეთი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია სრულად აკმაყოფილებენ ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმებს, ისინი არ არიან კავშირის წევრები, რადგან საზოგადოება ამ ქვეყნებში გაწევრიანების წინააღმდეგ არის განწყობილი.

ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი მეტ-ნაკლებად გაყოფილია ევროკავშირის საბოლოო საზღვრებთან დაკავშირებით. მხოლოდ გეოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინება რომ ხდებოდეს და მხედველობაში არ იქნეს მიღებული დემოკრატიული ფასეულობები, ევროკავშირში - ევროპის საბჭოს მსგავსად (რომელიც არ არის ევროკავშირის ორგანო) - შეიძლება საბოლოოდ 47 წევრი აღმოჩნდეს, მათ შორის რუსეთიც. მაგრამ ნათელია, რომ რუსეთის გაწევრიანება დაარღვევს ევროკავშირში როგორც პოლიტიკურ, ისე გეოგრაფიულ წონასწორობას.

გონივრული მიდგომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ევროპის ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება, განაცხადი შეიტანოს ევროკავშირის წევრობაზე, თუკი მას ძალუძს მიიღოს ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა და თუკი იგი მზად არის, მიიღოს ასევე ევრო. ევროპული ინტეგრაციის პროცესი 1950 წლიდან მიმდინარეობს და ნებისმიერი მცდელობა, რომ ევროკავშირის საზღვრები ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს, ამ პროცესის საწინააღმდეგო იქნებოდა.

ბ) სამეზობლო პოლიტიკა

2004 და 2007 წლების გაფართოებებმა ევროკავშირის საზღვრები კიდევ უფრო გადასწია აღმოსავლეთით და სამხრეთით და წამოჭრა კითხვა, თუ როგორ უნდა მოახერხოს ევროკავშირმა ურთიერთობა ახალ მეზობლებთან. ევროკავშირის საზღვრებს გარეთ რეგიონებში დგას სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხი და ევროკავშირს სურდა, თავიდან აეცილებინა ახალი გამყოფი ხაზების შექმნა მასსა და ამ მეზობელ რეგიონებს შორის. მაგალითად, საჭირო იყო ზომების გატარება ისეთ საფრთხეებთან დაკავშირებით, როგორებიც არის არალეგალური იმიგრაცია, ენერგომომარაგების შეწყვეტა, გარემოს დეგრადირება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი. ამიტომ ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ახალი „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, რომელიც მართავს ურთიერთობებს მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობლებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) და სამხრეთით მდებარე მეზობლებთან (ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორია, სირია და ტუნისი).

თითქმის ყველა ამ ქვეყანას ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ორმხრივი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებები ან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე ისინი იღებენ ვალდებულებას, დაიცვან საერთო ფასეულობები (დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა) და განახორციელონ ზომები, რათა დაამკვიდრონ საბაზრო ეკონომიკა, მდგრადი განვითარება და შეამცირონ სიღარიბე. თავის მხრივ, ევროკავშირი სთავაზობს მათ ფინანსურ, ტექნიკურ და მაკროეკონომიკურ დახმარებას, უმარტივებს სავიზო რეჟიმს და ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რათა დაეხმაროს ამ ქვეყნებს განვითარებაში.

1995 წლიდან სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები დაკავშირებულნი არიან ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური კავშირებით, რასაც ევრო-ხმელთაშუაზღვისპირა პარტნიორობა ეწოდება და რაც აერთიანებს ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოს და 16 პარტნიორ ქვეყანას ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ახლო აღმოსავლეთში.

ევროკავშირის მიერ ქვეყანათა ორივე ჯგუფისთვის გაწეულ დახმარებას მართავს ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI).

სამეზობლოს ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების დასახმარებლად ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას გამოყოფს.

4. როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირი? *წევრი*

- *ქვეყნების სახელმწიფოს და/ან მთავრობის მეთაურების დონეზე შეხვედრას ევროპული საბჭო ეწოდება და მისი როლი არის ევროკავშირისათვის ზოგადი პოლიტიკური მიმართულების მიცემა და ძირითად საკითხებში უმთავრესი გადაწყვეტილებების მიღება.*
- *ევროკავშირის საბჭო, რომელშიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრები შედიან, ხშირად იკრიბება პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მისაღებად და ევროკავშირის კანონების შესამუშავებლად.*
- *ევროპის პარლამენტი, რომელიც ევროპის ხალხებს წარმოადგენს, საკანონმდებლო და საბიუჯეტო პასუხისმგებლობას ევროკავშირის საბჭოსთან ინაწილებს.*
- *ევროკომისია, რომელიც ევროკავშირის საერთო ინტერესებს წარმოადგენს, ევროკავშირის ძირითადი აღმასრულებელი ორგანოა. კომისიას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება და იგი უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის პოლიტიკა სწორად იყოს განხორციელებული.*

4. გადაწვეტილების მიმღები ინსტიტუტები

ევროკავშირი უფრო მეტია, ვიდრე ქვეყნების უბრალო კონფედერაცია. ის არც ფედერალური სახელმწიფოა. ევროკავშირი არის ახალი ტიპის სტრუქტურა, რომელიც არ ჯდება ტრადიციულ სამართლებრივ კლასიფიკაციაში. მისი პოლიტიკური სისტემა ისტორიულად უნიკალურია, იგი უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ვითარდებოდა.

შეთანხმებები (რომლებიც „პირველადი კანონმდებლობის“ სახელით არის ცნობილი) საფუძვლად უდევს დიდი მოცულობის „მეორად“ კანონმდებლობას, ანუ კანონქვემდებარე აქტებს, რომლებსაც უშუალო ზეგავლენა აქვთ ევროკავშირის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორადი კანონმდებლობა ძირითადად შედგება ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დებულებებისგან, დირექტივებისა და რეკომენდაციებისაგან.

ეს კანონმდებლობა ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასთან ერთად არის იმ გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებსაც იღებენ ევროკავშირის საბჭო (რომელიც წარმოადგენს ეროვნულ მთავრობებს), ევროპარლამენტი (რომელიც წარმოადგენს ხალხს) და ევროკომისია (რომელიც არის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებისგან დამოუკიდებელი ორგანო და იცავს საერთოევროპულ ინტერესებს). თავის როლს ასრულებენ სხვა ინსტიტუტები და ორგანოებიც, რაც ქვემოთ არის განხილული.

(ა) ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური ინსტიტუტია. მასში შედიან ყველა წევრი ქვეყნის სახელმწიფოს და/ან მთავრობის მეთაურები - პრეზიდენტები და/ან პრემიერ-მინისტრები - და ევროკომისიის პრეზიდენტი (იხ. ქვემოთ). ევროპული საბჭო, ჩვეულებრივ, წელიწადში ოთხჯერ იკრიბება ბრიუსელში. მას ჰყავს პრეზიდენტი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ევროპული საბჭოს მუშაობის კოორდინირება და მისი საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა. პრეზიდენტი აირჩევა ევროპული საბჭოს წევრთა კვალიფიცირებული უმრავლესობით ორნახევარი წლის ვადით და შესაძლებელია მისი კიდევ ერთი ვადით არჩევა. ეს თანამდებობა 2009 წლის 1 დეკემბრიდან ბელგიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ჰერმან ვან რომპუის უკავია.

ევროპული საბჭო აყალიბებს ევროკავშირის მიზნებს და სახავს კურსს მათ მისაღწევად. იგია მთავარი ინიციატორი ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკური მიმართულებებისა და იღებს გადაწყვეტილებებს იმ რთულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც

უფრო მეტად დემოკრატიული ევროპა: ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროპის მოქალაქეებს ევროკავშირისთვის ახალი კანონების შეთავაზების შესაძლებლობა მისცა.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს შეხვედრებისას მინისტრებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ევროპული საბჭო ასევე აგვარებს არსებულ საერთაშორისო პრობლემებს „საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკაზე“ დაყრდნობით – ეს არის მექანიზმი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკათა კოორდინირებისათვის.

(ბ) ევროკავშირის საბჭო

ევროკავშირის საბჭოში (ცნობილია ასევე მინისტრთა საბჭოს სახელწოდებით) შედიან ევროკავშირის სახელმწიფოების მთავრობათა მინისტრები. ევროკავშირის წევრი ქვეყნები რიგრიგობით, ექვსი თვის ვადით თავმჯდომარეობენ ევროკავშირის საბჭოს. საბჭოს ყოველ სხდომას ევროკავშირის თითოეული ქვეყნის თითო მინისტრი ესწრება. ის, თუ რომელი მინისტრი დაესწრება შეხვედრას, დამოკიდებულია დღის წესრიგში შეტანილ განსახილველ საკითხებზე: ეს შეიძლება იყოს საგარეო საქმეები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და ა.შ.

საბჭოს ძირითადი საქმიანობა ევროკავშირის კანონების მიღებაა. საკანონმდებლო ძალაუფლებას საბჭო, ჩვეულებრივ, ევროპარლამენტთან ინაწილებს. ევროკავშირის საბჭო და პარლამენტი ევროკავშირის ბიუჯეტის მიღებაზეც თანაბარ პასუხისმგებლობას იზიარებენ. ევროკავშირის საბჭო ასევე დებს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა შესახებ მოლაპარაკებას ევროკომისია აწარმოებს.

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ან უბრალო უმრავლესობით, ან კვალიფიცირებული უმრავლესობით, ან ერთსულოვნად, იმის მიხედვით, თუ რა საკითხია გადასაწყვეტი.

გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, საგადასახადო საკითხები, ასევე საკითხები, რომლებიც შეეხება შეთანხმებებში ცვლილებების შეტანას, ახალი საერთო პოლიტიკის შემუშავებას ან ევროკავშირში ახალი ქვეყნის გაწევრიანებას, ევროკავშირის საბჭომ ერთსულოვნად უნდა მიიღოს.

გადაწყვეტილება სხვა საკითხებზე უმეტეს შემთხვევაში კვალიფიცირებული უმრავლესობით მიიღება. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუკი ის განსაზღვრული რაოდენობის ხმათა მინიმალურ ოდენობას მიიღებს. ევროკავშირის ყოველი ქვეყნისათვის მინიჭებულ ხმათა რაოდენობა მეტ-ნაკლებად შეესაბამება ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას.

2014 წლის 1 ნოემბრამდე გადაწყვეტილება მიიღება, თუ:

- მის სასარგებლოდ მიცემულია სულ მცირე 260 ხმა 352 ხმიდან (ანუ 73.9%);
- ის მოწონებულია წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ;
- თუ ის წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც მოიწონეს გადაწყვეტილება, წარმოადგენენ ევროკავშირის მოსახლეობის სულ მცირე 62%-ს.

2014 წლის 1 ნოემბრიდან, ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად, სისტემა გამარტივდება. გადაწყვეტილება მიღებული იქნება, თუ წევრ სახელმწიფოთა 55% მხარს დაუჭერს მას და თუ ეს სახელმწიფოები წარმოადგენენ ევროკავშირის მოსახლეობის სულ მცირე 65%-ს.

(გ) ევროპის პარლამენტი

ევროპის პარლამენტი არჩევითი ორგანოა და ის ევროკავშირის მოქალაქეებს წარმოადგენს. მას ევროკავშირის საქმიანობაზე პოლიტიკური ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია და მინისტრთა საბჭოსთან ერთად საკანონმდებლო პროცესშიც მონაწილეობს. 1979 წლიდან ევროპარლამენტის წევრების არჩევა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში პირდაპირი კენჭისყრით.

2011 წელს პარლამენტის თავმჯდომარედ ორნახევარი წლის ვადით არჩეული იქნა გერმანელი მარტინ შულცი (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი).

ევროპარლამენტი ის ადგილია, სადაც ევროკავშირის მოქალაქის ხმა ისმის.

ხმათა რაოდენობა ევროპარლამენტში ქვეყნების მიხედვით 2007–2009 წლები	
ავსტრია	18
ბელგია	21
ბულგარეთი	17
გაერთიანებული სამეფო	73
გერმანია	96
დანია	13
ესპანეთი	54
ესტონეთი	6
ირლანდია	11
იტალია	73
კვიპროსი	6
ლატვია	8
ლიტვა	11
ლუქსემბურგი	6
მალტა	6
ნიდერლანდები	26
პოლონეთი	51
პორტუგალია	21
რუმინეთი	32
საბერძნეთი	21
საფრანგეთი	74
სლოვაკეთი	13
სლოვენია	8
უნგრეთი	21
ფინეთი	13
შვედეთი	20
ჩეხეთის რესპუბლიკა	21
ხორვატია	11
სულ1	751

ევროპარლამენტი თავის ძირითად დებატებს ყოველთვიურ შეხვედრებზე (რომლებსაც „პლენარული სხდომები“ ეწოდება“) ატარებს და ამ სხდომებს ძირითადად პარლამენტის ყველა წევრი ესწრება. პლენარული სხდომები, ჩვეულებრივ, სტრასბურგში იმართება, ხოლო დამატებითი სხდომები ბრიუსელში. მოსამზადებელი სამუშაოც ბრიუსელში ტარდება: „პრეზიდენტების კონფერენციაზე“ - ანუ პოლიტიკურ ჯგუფთა თავმჯდომარეებისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრაზე - ყალიბდება პლენარული სხდომების დღის წესრიგი, ხოლო 20 საპარლამენტო კომიტეტი ამზადებს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც სხდომებზე უნდა იქნეს განხილული. პარლამენტის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ საქმიანობას ასრულებს მისი გენერალური სამდივნო, რომელიც ლუქსემბურგსა და ბრიუსელში მუშაობს. გარდა ამისა, თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს აქვს საკუთარი სამდივნო.

ევროპარლამენტი ევროკავშირის საკანონმდებლო საქმიანობაში ორი სახით მონაწილეობს:

1. **„გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების“** პროცედურის საფუძველზე, რომელიც **ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურაა,** პარლამენტს ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს თანაბარი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული კანონმდებლობის შემუშავებისას პოლიტიკის ყველა სფეროში, რომელიც საბჭოში კენჭისყრისას კვლიფიცირებულ უმრავლესობას საჭიროებს. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ეს სფეროები ევროკავშირის კანონმდებლობის დაახლოებით 95%-ს წარმოადგენს. საბჭოს და პარლამენტს შეთანხმების მიღწევა პირველივე მოსმენაზე შეუძლიათ. თუ ისინი ორი მოსმენის შედეგად ვერ შეთანხმდებიან, საკითხი განსახილველად მორიგების კომიტეტს წარედგინება.

2. **„თანხმობის“** პროცედურის თანახმად ევროპარლამენტმა თანხმობა უნდა მისცეს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ევროკომისია აწარმოებს მოლაპარაკებებს, და, ასევე, ნებისმიერ ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას ეხება.

ევროკავშირის ბიუჯეტის (რომელსაც ევროკომისია წარმოადგენს) მიღებაზე პასუხისმგებლობას ევროპარლამენტი ევროკავშირის საბჭოსთან თანაბრად ინაწილებს. ევროპარლამენტს შეუძლია ჩააგდოს შემოთავაზებული ბიუჯეტი, როგორც ეს მას არაერთხელ გაუკეთებია. ასეთ შემთხვევებში მთელი საბიუჯეტო პროცედურა თავიდან უნდა დაიწყოს. თავისი საბიუჯეტო უფლებამოსილების გამოყენებით ევროპარლამენტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ევროკავშირის პოლიტიკაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპარლამენტი დემოკრატიულ ზედამხედველობას უწევს ევროკავშირს, კერძოდ კი ევროკომისიას. ხუთ წელიწადში ერთხელ, როდესაც დგება ახალი კომისიის დანიშვნის დრო, ახლად არჩეულ ევროპარლამენტს შეუძლია - უბრალო უმრავლესობით - დაამტკიცოს ან უარყოს ევროპული საბჭოს მიერ კომისიის პრეზიდენტის თანამდებობაზე დასახელებული პირი. ეს კენჭისყრა ასახავს ევროპარლამენტის ბოლო არჩევნების შედეგებს. მთლიანად ახალი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების კენჭისყრამდე პარლამენტი ასევე გასაუბრებას ატარებს კომისიის წევრობის თითოეულ შემოთავაზებულ კანდიდატთან.

ევროპარლამენტს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უნდობლობა გამოუცხადოს მთლიანად ევროკომისიას და დაითხოვოს იგი. ამ პროცედურას ხმათა ორი მესამედი სჭირდება. ევროპარლამენტი ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს ზეპირ და წერილობით შეკითხვებს უგზავნის და ამ გზით ზედამხედველობას უწევს ევროკავშირის ყოველდღიურ მუშაობას.

(დ) ევროკომისია

ევროკომისია ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტია. მხოლოდ მას აქვს უფლება, მოამზადოს წინადადებები ევროკავშირის ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და გაუგზავნოს ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ევროკომისიის წევრები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შეთანხმებით ხუთი წლის ვადით ირჩევიან. ევროკომისიის წევრებს ევროპარლამენტი ამტკიცებს (როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი). ევროკომისია ევროპარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. თუკი პარლამენტი მას უნდობლობას გამოუცხადებს, ევროკომისია სრული შემადგენლობით უნდა გადადგეს.

ევროკომისიის შემადგენლობაში შედის ერთი წარმომადგენელი („ევროკომისარი“) ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოდან, ასევე ევროკომისიის პრეზიდენტი და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში, რომელიც კომისიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტია.

2010 წელს ევროკომისიის პრეზიდენტად მეორე ხუთწლიანი ვადით დაინიშნა პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხოსე მანუელ ბაროზო.

ევროკომისია თავის საქმიანობაში საკმარისი ხარისხის დამოუკიდებლობით სარგებლობს. მისი ფუნქციაა ევროკავშირის საერთო ინტერესების დაცვა, რაც ნიშნავს, რომ ის არ უნდა ასრულებდეს არც ერთი ცალკეული მთავრობის ინსტრუქციას. ევროკომისია ევროკავშირის ფუძემდებლური შეთანხმებების დამცველია; მან უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული დებულებებისა და დირექტივების შესრულება. თუკი ეს დებულებები და დირექტივები არ შესრულდება, ევროკომისიას შეუძლია დამრღვევს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში უჩივლოს და აიძულოს ის, შეასრულოს ევროკავშირის კანონმდებლობა.

ევროკომისია, როგორც ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო, ახორციელებს ევროკავშირის მიერ ისეთ სფეროებში მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა

მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობის სრულ დაცვას. მან დაადასტურა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დისკრიმინაცია დაუშვებელია.

საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა. ევროკომისიას აქვს ფართო უფლებამოსილება, მართოს ევროკავშირის საერთო პოლიტიკის განხორციელება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კვლევა და ტექნოლოგიები, საგარეო დახმარება და რეგიონული განვითარება. ამ სფეროებისათვის პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყოფილ ბიუჯეტსაც ევროკომისია განაგებს.

ევროკომისიის წევრების მუშაობას დახმარებას უწევს საჯარო სამსახური, რომელიც 44 დეპარტამენტისა და სამსახურისაგან შედგება. მათი უმრავლესობა ბრიუსელსა და ლუქსემბურგში მდებარეობს. არსებობს ასევე რიგი სააგენტოებისა, რომლებიც შექმნილია ევროკომისიის დავალებით კონკრეტული მითითებების შესასრულებლად და რომლებიც ძირითადად ევროპის სხვა ქალაქებში მდებარეობს.

(ე) მართლმსაჯულების სასამართლო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო მოსამართლე ყოველი წევრი სახელმწიფოდან, რომელსაც დახმარებას უწევს რვა ე.წ. „გენერალური ადვოკატი.“ მათი დანიშვნა ხდება წევრი სახელმწიფოების მთავრობების ერთობლივი თანხმობის საფუძველზე ექვსწლიანი ვადით (ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია). მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ეჭვს არ იწვევს. სასამართლოს ფუნქციაა, უზრუნველყოს ევროკავშირის კანონმდებლობის შესრულება, ასევე ხელშეკრულებათა სწორი ინტერპრეტირება და შესრულება. მართლმსაჯულების სასამართლო ლუქსემბურგში მდებარეობს.

(ვ) ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში მდებარეობს. ის პასუხისმგებელია ევროს და ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის მართვაზე (იხ. თავი 7 - „ევრო“). მისი ძირითადი ფუნქციებია ფასების სტაბილურობის შენარჩუნება და ბანკების მეთვალყურეობა ევროს სივრცეში.

(ზ) აუდიტორთა სასამართლო

ლუქსემბურგში მდებარე აუდიტორთა სასამართლო 1975 წელს ჩამოყალიბდა. სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი ევროკავშირის ყოველი სახელმწიფოდან. სასამართლოს წევრები წევრი სახელმწიფოების თანხმობით და ევროპარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ ექვსწლიანი ვადით ინიშნებიან. აუდიტორთა სასამართლოს დანიშნულებაა იმის მეთვალყურეობა, რომ ევროკავშირის შემოსავალი და გასავალი კანონიერი და პატიოსანი გზით იყოს მიღებული, გარდა ამისა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი სწორად იმართებოდეს.

II. სხვა ინსტიტუტები და სტრუქტურები

(ა) ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი

პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებამდე ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია კონსულტაციებს გადიან ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტთან. მისი წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან „ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას“ და ინიშნებიან საბჭოს მიერ ხუთწლიანი ვადით.

(ბ) რეგიონული კომიტეტი

რეგიონული კომიტეტი ევროპის ქვეყნების რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისაგან შედგება. კომიტეტის წევრებს ევროკავშირის სახელმწიფოები წარადგენენ და საბჭო ნიშნავს ხუთწლიანი ვადით. ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია კონსულტაციებს გადიან რეგიონულ კომიტეტთან იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება რეგიონებს. თავის მხრივ, კომიტეტს შეუძლია დასკვნების საკუთარი ინიციატივით მომზადება და გამოქვეყნება.

(გ) ევროპის საინვესტიციო ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს, გასცემს სესხებსა და გარანტიებს, რითაც ევროკავშირის უფრო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს ეხმარება, ასევე ეხმარება ბიზნესს, გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი.

5. რას აკეთებს ევროკავშირი?

- *ევროკავშირი მოღვაწეობს ბევრ ისეთ სფეროში, სადაც აუცილებელია პოლიტიკის განსაზღვრა. ამ საქმიანობით მას წევრი სახელმწიფოებისათვის მოაქვს სარგებელი. ამ პოლიტიკურ მიმართულებებს შორისაა:*
  - *ინოვაციის პოლიტიკა, რომლის მეშვეობით ინერგება უახლესი ტექნოლოგიები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, კვლევა, განვითარება და ენერგეტიკა;*
  - *სოლიდარობის პოლიტიკა (ცნობილია ასევე „ინტეგრაციის პოლიტიკის“ სახელწოდებით) რეგიონულ, სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ საკითხებში;*
- *ამ სხვადასხვა პოლიტიკას ევროკავშირი თავისი ყოველწლიური ბიუჯეტის საშუალებით აფინანსებს, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, შეავსოს და გააფართოოს წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული საქმიანობა. ევროკავშირის ბიუჯეტი მცირეა მისი წევრი სახელმწიფოების ერთობლივ სიმდიდრესთან შედარებით: იგი შეადგენს ყველა წევრი სახელმწიფოს გაერთიანებული მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაქსიმუმ 1,06%-ს.*

I. ინოვაციის პოლიტიკა

ევროკავშირში მიმდინარე საქმიანობა მოიცავს საზოგადოების წინაშე მდგომ ისეთ რეალურ პრობლემებს, როგორიცაა გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა, ტექნოლოგიური ინოვაციები, ენერგეტიკა და ა.შ. სწორედ ამიტომ მოაქვს ამ საქმიანობას შედეგი და გავლენას ახდენს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

(ა) გარემო და მდგრადი განვითარება

ევროკავშირი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილების თავიდან აცილებას სათბურის გაზის ემისიის მნიშვნელოვანი შემცირებით. 2008 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს სხდომაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ 2020 წლისთვის ევროკავშირში სათბურის გაზის ემისია უნდა შემცირდეს სულ მცირე 20%-ით 1990-იანი წლების დონესთან შედარებით, უნდა გაიზარდოს განახლებადი ენერგიის გამოყენება 20%-ით და შემცირდეს ენერგიის საერთო მოხმარება 20%-ით.

ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, მიიღონ კანონმდებლობა ამ მიზნების მისაღწევად. დიდი ძალისხმევა მოხმარდება ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. ევროკავშირის მასშტაბის „ემისიებით ვაჭრობის სქემა“ მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ მავნე გაზების ემისიის აუცილებელი შემცირება ეფექტიანად განხორციელდეს.
გარდა ამისა, ევროკავშირს ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ სხვა გარემოსდაცვით პრობლემებთან უხდება გამკლავება. ეს პრობლემებია: ხმაური, ნარჩენები, ბუნებრივი გარემოს დაცვა, გამონაბოლქვი, ქიმიკატები, საწარმოო ავარიები და წყლის სისუფთავე. ევროკავშირი ასევე გეგმავს კოლექტიური მიდგომის დანერგვას ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების – ნავთობის დაღვრის ან ტყეში გაჩენილი ხანძრების – თავიდან ასაცილებლად.

ევროკავშირი მუდმივად ცდილობს, დახვეწოს თავისი კანონმდებლობა, რათა გააუმჯობესოს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა. მაგალითად, გადამუშავებული იქნა ქიმიკატებთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ძველი წესები, რომლებიც ცალკეული სახეობებისათვის იყო შემუშავებული, შეიცვალა ქიმიკატების რეგისტრაციის, შეფასებისა და ნებართვის გაცემის ერთიანი სისტემით (REACH). ეს სისტემა ეფუძნება ცენტრალურ მონაცემთა ბაზას, რომლის მართვას ახორციელებს ჰელსინკიში არსებული ქიმიკატების ევროპული სააგენტო. მისი მიზანია ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და შენობების დაბინძურების თავიდან აცილება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ევროკავშირის

ევროკავშირი კლიმატის ცვლილების პრევენციისთვის ბრძოლისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ავანგარდშია.

ევროპის გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემის „გალილეს“ საშუალებით ევროკავშირი ხელს უწყობს ინოვაციებსა და კვლევას.

მოქალაქეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება და, ამავე დროს, ევროპულ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

(გ) ტექნოლოგიური ინოვაციები

ევროკავშირის დამფუძნებლებმა სწორად განჭვრიტეს ის, რომ ევროპის მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებული იქნებოდა მის უნარზე, შეენარჩუნებინა მსოფლიო ლიდერის როლი ტექნოლოგიებში. ისინი დიდ უპირატესობას ხედავდნენ ევროპაში ერთობლივი კვლევების წარმოებაში. ამიტომ 1958 წელს, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან ერთად, მათ შექმნეს „ევროატომი“ – ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა. მისი მიზანი იყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა „ერთობლივი კვლევის ცენტრი“, რომელიც შედგება შვიდი ინსტიტუტისაგან და განლაგებულია ხუთ სხვადასხვა ადგილას: ისპრაში (იტალია), კარლსრუეში (გერმანია), პეტენში (ნიდერლანდები), გეელში (ბელგია) და სევილიაში (ესპანეთი).

თუმცა მსოფლიოში არსებული მზარდი კონკურენციისთვის ფეხის ასაწყობად საჭირო ხდებოდა ევროპული კვლევების უფრო გამრავალფეროვნება - სხვადასხვა ქვეყნის კვლევით პროგრამებს შორის არსებული ბარიერების დამსხვრევა, მკვლევართა და მეცნიერთა სულ უფრო ფართო წრეების მოზიდვა და მათი აღმოჩენების წარმოებაში დანერგვის ახალი გზების მოძიებაში დახმარების გაწევა.

ევროკავშირში მიმდინარე ერთობლივი კვლევის მიზანია, შეავსოს კვლევის ის პროგრამები, რომლებიც ევროკავშირის ყოველ ცალკეულ ქვეყანაში მიმდინარეობს. ერთობლივ კვლევებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთ პროექტებს, რომლებშიც ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის ლაბორატორიები მონაწილეობს. გარდა ამისა, ეს პროგრამები ხელს უწყობს ფუნდამენტურ კვლევებს, როგორიცაა მართული თერმობირთვული შერწყმა (პოტენციურად ეს არის ენერგიის ამოუწურავი წყარო 21-ე საუკუნისთვის), ხელს უწყობს, აგრეთვე, კვლევის წარმოებას და ტექნოლოგიურ განვითარებას წამყვან სფეროებში - ელექტრონიკასა და კომპიუტერების წარმოებაში, რომლებიც ევროპის გარეთ არსებულ საწარმოებთან მკაცრი კონკურენციის პირობებში მუშაობენ.

ევროკავშირის მიზანია მისი მშპ-ის 3%-ის ხარჯვა კვლევაზე. ევროკავშირის მასშტაბის კვლევის დაფინანსების ძირითადი საშუალებაა ე.წ. „ჩარჩო პროგრამები“. კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამა 2007–13 წლებისთვისაა შემუშავებული. მისი ბიუჯეტის (50 მილიარდ ევროზე მეტი) უდიდესი ნაწილი განკუთვნილია კვლევისთვის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჯანდაცვა, სურსათი და სოფლის მეურნეობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ნანომეცნიერებები, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, უსაფრთხოება და კოსმოსური კვლევები და სოციალურ-ეკონომიკური კვლევები. სხვა პროგრამები ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას კვლევითი სამუშაოების წარმოებისას და მხარს უჭერს მკვლევარებს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

(გ) ენერგეტიკა

ევროკავშირის ენერგომოხმარების დაახლოებით 75%-ს წიაღისეული საწვავი - ნავთობი, ბუნებრივი აირი და ქვანახშირი - შეადგენს. ამ საწვავის უდიდესი წილი ევროკავშირის გარედან შემოდის. დღეისათვის მთელი ენერგორესურსების ნახევარი იმპორტირებულია. ევროკავშირი იოლად შეიძლება ემსხვერპლოს მიწოდების შეწყვეტას და ფასების ზრდას, რაც შეიძლება გამოიწიოს საერთაშორისო კრიზისებმა. ბუნებრივი საწვავის მოხმარების შემცირების კიდევ ერთი მიზეზი გლობალური დათბობის პროცესის შემობრუნებაა.

მომავალში მრავალი სხვადასხვა საშუალების გამოყენებაა საჭირო. მაგალითად, აუცილებელია ენერგიის გონივრულად მოხმარება, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება (განსაკუთრებით ევროპაში არსებული განახლებადი წყაროებისა) და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. ენერგეტიკის სფეროში კვლევა და განვითარება ევროპაში კონცენტრირებულია მზის, ქარის, ბიომასების და ბირთვულ ენერგიაზე. არსებობს ასევე ნახშირორჟანგის კაპტაჟის და გრძელვადიანი შენახვის, ასევე წყალბადის საწვავ ელემენტებზე მომუშავე ძალოვანი დანადგარების მქონე ავტომობილების კომერციულად სიცოცხლისუნარიანად ქცევის პილოტური პროექტები. გარდა ამისა, ევროკავშირმა ინვესტიციები განახორციელა პროექტში „სუფთა ცა“, რომელიც მიზნად ისახავს ნაკლები დაბინძურების გამომწვევი თვითმფრინავის შექმნას. პროექტის ბიუჯეტი 1,6 მილიარდი ევროა.

2. სოლიდარობის პოლიტიკა

ერთიანი ბაზრის (იხ. თავი 6) სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად უნდა გამოსწორდეს ბალანსის დარღვევები ამ ბაზარზე. სწორედ ეს არის ევროკავშირის სოლიდარობის პოლიტიკის ძირითადი დანიშნულება, რომელიც მიზნად ისახავს ჩამორჩენილ რეგიონებში არსებული უთანასწორობის დაძლევას და იმ სამრეწველო სექტორების დახმარებას, რომლებიც სირთულეებს აწყდებიან. ევროკავშირმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეკონომიკის იმ სექტორების რესტრუქტურიზებაშიც, რომლებსაც სწრაფად მზარდმა საერთაშორისო კონკურენციამ მძიმე შედეგები მოუტანა.

(ა) რეგიონული დახმარებისა და ინტეგრაციის პოლიტიკა

ევროკავშირის 2014-2020 წლების ბიუჯეტის მიხედვით ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში 325 მილიარდი ევროს ინვესტირება მოხდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მათ რეგიონებსა და ქალაქებში, რათა ხელი შეეწყოს ევროკავშირის მიზნების - ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის, კლიმატის ცვლილებასთან, ენერგორესურსებზე დამოკიდებულებასთან და სოციალურ გარიყვასთან ბრძოლის - მიღწევას.

ამ მიზნების მისაღწევად სახსრები სპეციალური ფონდებიდან გამოიყოფა. ეს ფონდები გამოიყოფა კერძო სექტორის მიერ გაწეულ კაპიტალდაბანდებებზე დამატებით და წაახალისებს ინვესტირებას კერძო სექტორის და ეროვნული და რეგიონული მთავრობების მიერ:

- ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი გამოიყენება რეგიონული განვითარების პროექტების დასაფინანსებლად და ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად, აგრეთვე, პრობლემების მქონე საწარმოო რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის გადასახალისებლად.

- **ევროპის სოციალური ფონდი** პროფესიულ განათლებას და სამუშაო ადგილების შექმნაზე მიმართულ ინიციატივებს აფინანსებს.

- **ინტეგრაციის ფონდი** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და გარემოსდაცვით პროექტებს აფინანსებს ევროკავშირის იმ ქვეყნებში, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის საშუალო მშპ-ის 90%-ზე დაბალია.

(ბ) სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა და თევზის რეწვის საერთო პოლიტიკა

სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ის მიზნები, რომლებიც 1957 წლის რომის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული, ძირითადად მიღწეულია: უზრუნველყოფილია ფერმერთა კარგი ცხოვრების დონე, სტაბილიზებულია ბაზრები, საქონელი მიდის მომხმარებლამდე და მისი ფასები მისაღებია, ფერმერული ინფრასტრუქტურა მოდერნიზებულია. გარდა ამისა, მომხმარებელი უზრუნველყოფილია საქონლის უწყეტი მიწოდებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები სტაბილურია და დაცულია მსოფლიო ბაზრის რყევებისაგან. სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკას აფინანსებენ ევროპის სოფლის მეურნეობის გარანტიების ფონდი და ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისათვის.

თუმცა სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა საკუთარი წარმატების ტყვეობაში აღმოჩნდა. წარმოება ბევრად უფრო სწრაფად განვითარდა, ვიდრე მოხმარება, ეს კი ევროკავშირის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვა. პრობლემის გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გადახალისება გახდა საჭირო. რეფორმა თანდათანობით იძლევა შედეგს. წარმოება თანდათანობით შენელდა.

ფერმერთა საზოგადოებას ახალი როლი დაეკისრა. ეს არის ეკონომიკური საქმიანობა გარკვეული მასშტაბით სოფლად, ყველა რეგიონში, და ევროპის სოფლის მრავალფეროვნების დაცვა. მრავალფეროვნება და „სოფლური ცხოვრების წესის“ – ანუ ადამიანის მიწასთან ჰარმონიაში ცხოვრების – აღიარება ევროპული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. გარდა ამისა, ევროპის სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში, ველური ბუნების დაცვაში და საკვებზე მსოფლიოს საჭიროების დაკმაყოფილებაში.
სხვადასხვა საერთაშორისო მოლაპარაკებაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ევროკავშირს ევროკომისია წარმოადგენს. ევროკავშირს სურს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ უფრო დიდი

სოფლის მეურნეობამ კარგი ხარისხის უსაფრთხო სურსათი უნდა უზრუნველყოს.

ყურადღება მიაქციოს საკვების ხარისხს, წინასწარი ზომების განხორციელების პრინციპს და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას.

ევროკომისიას სურს, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკამ პრიორიტეტი მიანიჭოს ევროპის სოფლის მეურნეობის მდგრადობის უზრუნველყოფას, ფერმერების საკმარის დაცვას ცვალებად ბაზრებზე, ბიომრავაფეროვნების შენარჩუნებას და ადგილობრივი და რეგიონული სპეციფიკური პროდუქტების დაცვას.

ევროკავშირმა მოახდინა, აგრეთვე, თევზის რეწვის თავისი პოლიტიკის რეფორმირება. რეფორმის ძირითადი მიზანია თევზჭერის შემცირება, რათა შენარჩუნდეს თევზის პოპულაციები (როგორიც არის, მაგალითად, გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცისფერი თინუსი) და ფინანსური დახმარება გაეწიოს თევზჭერაში დასაქმებულებს სხვა ეკონომიკური საქმიანობის წარმართვაში.

გ) სოციალური პოლიტიკა

ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის მიზანია, გამოასწოროს ევროპული საზოგადოების ყველაზე თვალშისაცემი უთანასწორობა. 1961 წელს ევროპის სოციალური ფონდის შექმნის მიზანი იყო სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და მშრომელების ერთი ტიპის სამუშაოდან მეორე ტიპის სამუშაოზე, აგრეთვე, ერთი გეოგრაფიული არეალიდან მეორე გეოგრაფიულ არეალში გადასვლის მხარდაჭერა.

ფინანსური დახმარება არ არის ერთადერთი გზა, რითაც ევროკავშირი ცდილობს, გაუმჯობესოს სოციალური პირობები ევროპაში. მხოლოდ დახმარების საშუალებით ვერასოდეს გადაწყდება ყველა ის პრობლემა, რომლებიც ეკონომიკური კრიზისით თუ რეგიონის დაბალი განვითარებით არის გამოწვეული. ზრდის დინამიკურმა შედეგმა, პირველ რიგში, სოციალური წინსვლა უნდა გამოიწვიოს. ამას თან უნდა ახლდეს საკანონმდებლო გარანტიები და მინიმალური უფლებების საკმაოდ სოლიდური პაკეტი. ამ უფლებათაგან ზოგიერთი ხელშეკრულებებშია ასახული, მაგალითად, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურება. სხვა უფლებები განსაზღვრულია დირექტივებში, რომლებიც შეეხება მშრომელთა დაცვას (ჯანმრთელობა და სამუშო ადგილზე უსაფრთხოება) და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს.

„ძირითადი სოციალური უფლებების ქარტიაში," რომელიც 1997 წელს ხელშეკრულების ტექსტში შევიდა და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა, განისაზღვრა ევროკავშირის ყველა მშრომელის უფლებები. ეს უფლებებია: თავისუფალი გადაადგილება, სათანადო ანაზღაურება, გაუმჯობესებული სამუშაო პირობები, სოციალური დაცვა, კავშირების შექმნის უფლება და უფლებების კოლექტიურად დაცვის უფლება, პროფესიული მომზადების მიღების უფლება, თანაბარი უფლებების მინიჭება ქალებისა და მამაკაცებისათვის, მშრომელთა ინფორმირება, კონსულტირება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვა და შრომითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაცვა.

III. ფულის გადახდა ევროპის სასარგებლოდ: ევროკავშირის ბიუჯეტი

სხვადასხვა სფეროში არსებული თავისი პოლიტიკის დასაფინანსებლად ევროკავშირს აქვს წლიური ბიუჯეტი, რომელიც 2014 წელს 142 მილიარდ ევროს აღემატებოდა. ეს არის ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს ერთიანი ეროვნული შემოსავლის 1,06%.

ეს ბიუჯეტი ევროკავშირის ე.წ. „საკუთარი სახსრებით" ფინანსდება. ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროებია:

- ევროკავშირის საზღვრებს გარედან იმპორტირებულ საქონელზე დაწესებული საბაჟო მოსაკრებლები, ფერმერულ პროდუქციაზე მოსაკრებლის ჩათვლით;
- ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი, საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული დღგ-ის გარკვეული პროცენტი;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან შემოსული შენატანი, რომელიც თითოეულ ქვეყანაში არსებული სიმდიდრის პროპორციულია.

ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიცირება 2014 წლის ბიუჯეტის მაგალითით შეიძლება იქნეს ილუსტრირებული:

- ცოდნაზე დამყარებული და ყოვლისმომცველი განვითარება: 64 მილიარდი ევრო, მათ შორის სტრუქტურული ფონდები, ინტეგრაციის ფონდი, კვლევითი პროგრამები, ტრანსევროპული სატრანსპორტო და ენერგეტიკული ქსელები;
- ბუნებრივი რესურსები: 60 მილიარდი ევრო, ძირითადად ფერმერული საქმიანობისთვის, სოფლის განვითარებისა და გარემოს დაცვისათვის;
- უსაფრთხოება და მოქალაქეობა (იხ. მე-10 თავი): 2 მილიარდი ევრო;
- ევროკავშირი - გლობალური პარტნიორი (დახმარება, ვაჭრობა და ა.შ.): 8 მილიარდი ევრო;
- ადმინისტრაციული ხარჯები: 8 მილიარდი ევრო.

ყოველი წლის ბიუჯეტი არის ნაწილი შვიდწლიანი საბიუჯეტო ციკლისა, რომელიც „ფინანსური პერსპექტივის" სახელწოდებითაა ცნობილი. ყოველ ჯერზე ხდება მისი შემუშავება ევროკომისიის მიერ, შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა ის ერთსულოვნად უნდა მიიღონ და, ამავე დროს, უნდა გაიმართოს მოლაპარაკება და მიღწეული იქნეს შეთანხმება ევროპარლამენტთან. 2014-2020 წლების ფინანსური პერსპექტივის საერთო ბიუჯეტი 2013 წელს იქნა დადგენილი. საერთო ხარჯვის ლიმიტი დაახლოებით 3%-ით შემცირდა წინა - 2007-2013 წლების - პერიოდთან შედარებით.

მიუხედავად ამისა, ხარჯვის ეს გეგმა მიზნად ისახავს ევროპაში ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო რაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით სამაგალითო ევროპის შექმნის ხელშეწყობას. დაფინანსება გაზრდილია ისეთი სფეროებისთვის, როგორებიც არის კვლევა და ინოვაცია, განათლება და ტრენინგი და საგარეო ურთიერთობები. კონკრეტული ფონდები გამოყენებული იქნება დანაშაულთან და ტერორიზმთან საბრძოლველად და მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის დასაფინანსებლად. ნავარაუდევია, რომ ხარჯებმა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად 2014-2020 წლებში ევროკავშირის საერთო ხარჯვის სულ მცირე 20% უნდა შეადგინოს.

ვინ რას აკეთებს? როგორ არის გაყოფილი პასუხისმგებლობა ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის

მარტო ევროკავშირია პასუხისმგებელი შემდეგ საკითხებზე:	▶ საბაჟო კავშირი ▶ ერთიან ბაზარზე კონკურენციის მარეგულირებელი წესები ▶ მონეტარული პოლიტიკა იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც შემოღებულია ევრო ▶ ზღვის ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია თევზის რეწვის საერთო პოლიტიკის ფარგლებში ▶ საერთო კომერციული პოლიტიკა ▶ საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც ამას ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს
ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები იზიარებენ პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხებზე:	▶ ერთიანი ბაზარი ▶ სოციალური პოლიტიკის ასპექტები, როგორც ეს ლისაბონის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული ▶ ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია ▶ სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა, გარდა ზღვის ბიოლოგიური რესურსების კონსერვაციისა ▶ გარემოს დაცვა ▶ მომხმარებელთა დაცვა ▶ ტრანსპორტი ▶ ტრანსევროპული ქსელები ▶ ენერგეტიკა ▶ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა ▶ საერთო უსაფრთხოებისთვის არსებული გამოწვევების ასპექტები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, როგორც ეს ლისაბონის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული ▶ კვლევა, ტექნოლოგიური განვითარება და კოსმოსი ▶ თანამშრომლობა განვითარების სფეროში და ჰუმანიტარული დახმარება
სფეროები, რომლებზე პასუხისმგებლობას ინარჩუნებენ წევრი სახელმწიფოები და რომლებშიც ევროკავშირს შეუძლია შეასრულოს დამხმარე ან მაკოორდინირებელი როლი:	▶ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება ▶ ინდუსტრია ▶ კულტურა ▶ ტურიზმი ▶ განათლება, პროფესიული სწავლება, ახალგაზრდები და სპორტი ▶ მოქალაქეების დაცვა ▶ ადმინისტრაციული თანამშრომლობა

6. ერთიანი ბაზარი

- *ერთიანი ბაზრის შექმნა ევროკავშირის უდიდესი მიღწევაა. წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული შეზღუდვები ვაჭრობასა და თავისუფალ კონკურენციაზე თანდათანობით გაუქმდა, ამან კი ცხოვრების დონე გააუმჯობესა.*
- *ერთიანი ბაზარი ჯერ კიდევ ვერ გახდა საერთო ეკონომიკური სივრცე. ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი (კერძოდ, საერთო ინტერესის მომსახურება) დღესაც ეროვნულ კანონმდებლობას ექვემდებარება. მომსახურების გაწევის თავისუფლება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელს უწყობს ეკონომიკურ აქტიურობას.*
- *2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისის გამო ევროკავშირმა გაამკაცრა თავისი ფინანსური კანონმდებლობა.*
- *ერთიან ბაზარს საფუძვლად უდევს ევროკავშირის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული, პოლიტიკის განმსაზღვრელი რამდენიმე დოკუმენტი (ტრანსპორტის, კონკურენციის სფეროში და ა.შ.). ისინი უზრუნველყოფენ, რომ რაც შეიძლება მეტმა ბიზნეს-სუბიექტმა და მომხმარებელმა ისარგებლოს ერთიანი ბაზრის გახსნით.*

I. 1993 წელს დასახული მიზნის მიღწევა

(ა) ერთიანი ბაზრის წინაშე არსებული ბარიერები

1957 წელს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას, შესაძლებელი გახადა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების გაუქმება და საერთო საბაჟო განაკვეთის შემოღება თანამეგობრობის არაწევრი სახელმწიფოებიდან შემოსული საქონლისათვის. ამ მიზნის მიღწევა 1968 წლის 1 ივლისს გახდა შესაძლებელი.

თუმცა საბაჟო მოსაკრებელი ვაჭრობაში არსებული პროტექციონისტული ბარიერების მხოლოდ ნაწილია. 1970-იან წლებში სხვა სავაჭრო ბარიერებმა შეაფერხა ერთიანი ბაზრის სრულად ჩამოყალიბება. ტექნიკური ნორმები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები, ზოგიერთ პროფესიასთან დაკავშირებული ეროვნული წესები და სავალუტო კურსების კონტროლი აფერხებდა ადამიანების, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილებას.

(ბ) 1993 წლის მიზანი

1985 წლის ივნისში ევროკომისიამ, მისი იმდროინდელი პრეზიდენტის ჟაკ დელორის ხელმძღვანელობით, გამოაქვეყნა კანონმდებლობის პროექტი, ე.წ. „თეთრი წიგნი“, სადაც გათვალისწინებული იყო შვიდი წლის განმავლობაში ყველა იმ ფიზიკური, ტექნიკური და საგადასახადო ბარიერის გაუქმება, რომლებიც დაბრკოლებას უქმნიდა თანამეგობრობის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას. ამ ცვლილების მიზანი იყო საწარმოო და კომერციული ექსპანსიის სტიმულირება და ამერიკის ბაზრის მასშტაბის ერთიანი ეკონომიკური არეალის შექმნა.

წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის მოლაპარაკებების შედეგად მიღებული იქნა ახალი შეთანხმება - „ერთიანი ევროპული აქტი.“ ეს დოკუმენტი ძალაში შევიდა 1987 წლის ივლისში. ის ითვალისწინებდა:

- თანამეგობრობის უფლებამოსილების გაფართოებას ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, სოციალურ პოლიტიკაში, კვლევაში, გარემოს დაცვაში);
- ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას 1992 წლის ბოლომდე;
- ევროპის მინისტრთა საბჭოში ხმათა უმრავლესობით კენჭისყრის უფრო ხშირ გამოყენებას, რაც მიზნად ისახავდა ერთიან ბაზართან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების გაადვილებას.

II. როგორ გამოიყურება ერთიანი ბაზარი დღეს

(ა) ფიზიკური ბარიერები

ევროკავშირის შიგნით საქონლის შემოტანაზე და ადამიანების გადაადგილებაზე სასაზღვრო კონტროლი გაუქმებულია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში პოლიცია შერჩევით შემოწმებებს ახორციელებს (დანაშაულისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში).

1985 წლის ივნისში ევროკავშირის იმდროინდელი 10 წევრიდან ხუთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შენგენის შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს თანამშრომლობას პოლიციის სამსახურებს შორის, ასევე განსაზღვრავს თავშესაფრის მინიჭებისა და ვიზების ერთიან პოლიტიკას. ამან შესაძლებელი გახადა შენგენის სივრცის ქვეყნებს შორის საზღვრებზე ადამიანთა შემოწმების სრულად გაუქმება (იხ. თავი 10 – „თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება ევროპაში“). დღეს შენგენის სივრცეში შედის ევროპის 26 ქვეყანა, მათ შორის ოთხი, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია).

(ბ) ტექნიკური ბარიერები

პროდუქტების უმეტესი წილის გაყიდვისათვის ევროკავშირის ქვეყნებს მიღებული აქვთ ამ პროდუქტების ურთიერთცნობის პრინციპი. 1979 წელს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გამოტანილი ცნობილი ‘Cassis de Dijon’ გადაწყვეტილების შემდეგ ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში ლეგალურად მზადდება და იყიდება, ევროკაშირის ყველა სხვა ქვეყნის ბაზარზე შეიძლება იყოს გამოტანილი.

ზოგიერთი პროფესიის (იურისპრუდენცია, მედიცინა, ტურიზმი, საბანკო საქმე, სადაზღვევო საქმე) დაუფლების და გამოყენების ეროვნული წესების ურთიერთცნობის და მათი კოორდინირების წყალობით შესაძლებელი გახდა მომსახურების სექტორის ლიბერალიზება. მიუხედავად ამისა, ადამიანთა გადაადგილების თავისუფლება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიღწეული. მიუხედავად 2005 წელს გამოცემული დირექტივისა პროფესიული კვალიფიკაციის ცნობის შესახებ, ადამიანების წინაშე ჯერ კიდევ არსებობს დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებს ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორეში მათ გადაადგილებას, ასევე გარკვეული ტიპის სამუშაოს შესრულებას სხვა ქვეყანაში. თუმცა კვალიფიციური ადამიანებისთვის (იურისტებისა თუ ექიმებისთვის, მშენებლებისა თუ მეწყალსადენეებისთვის) სულ უფრო ადვილი ხდება

ტელეკომუნიკაციების ბაზარზე კონკურენციის წახალისების გზით ევროკავშირში მოხდა ფასების რადიკალური შემცირება.

სპეციალობით მუშაობა ევროკავშირის ნებისმიერ ადგილას.

ევროკომისიამ მიიღო ზომები მშრომელთა გადაადგილების შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ კი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირის რომელიმე ერთ ქვეყანაში მიღებული განათლების დიპლომები და სამუშაო კვალიფიკაცია აღიარებული იყოს ყველა დანარჩენში.

(გ) საგადასახადო ბარიერები

საგადასახადო ბარიერების შემცირება შესაძლებელი გახდა დამატებული ღირებულების გადასახადის ეროვნული განაკვეთების ნაწილობრივი დარეგულირების მეშვეობით, რაც ექვემდებარება შეთანხმებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, საინვესტიციო შემოსავლის დაბეგვრის საკითხი გახდა წევრ ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებს (მათ შორის შვეიცარიას) შორის დადებული ხელშეკრულების საგანი; აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში 2005 წლის ივლისში შევიდა.

(დ) სახელმწიფო კონტრაქტები

იმ დირექტივების მიღების შედეგად, რომლებიც ეხება მომსახურებას, მომარაგებასა და სამუშაოების შესრულებას სხვადასხვა სექტორში (წყალი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები), სახელმწიფო კონტრაქტებზე განაცხადის შემოტანა შეუძლია ყველა პრეტენდენტს ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნიდან, მიუხედავად იმისა, თუ რომელი დონის ხელისუფლება დებს კონტრაქტებს.

ერთიანი ბაზარი ყველა მომხმარებელს მოუტანს სარგებელს. მაგალითად, ეროვნული ბაზრების გახსნამ სხვადასხვა მომსახურებისთვის სატელეფონო ზარების ფასი ბევრად შეამცირა 10 წლის წინანდელთან შედარებით. კონკურენციის შედეგად ასევე საგრძნობლად შემცირდა ევროპაში საჰაერო მგზავრობის ღირებულება.

III. მიმდინარე სამუშაო

ა) ფინანსური მომსახურება

2008 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული იპოთეკურ დაკრედიტებასთან დაკავშირებული კრიზისის შემდგომ მასობრივმა ფინანსურმა კრიზისმა შეძრა მსოფლიოს ქვეყნების საბანკო სისტემები და ეკონომიკები და 2009 წელს ევროკავშირშიც ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. ამ მოვლენებზე რეაგირების სახით მოხდა ფინანსური სისტემის რეფორმირება, რაც მიზნად ისახავდა მის უფრო გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულად ქცევას. ჩამოყალიბდა ევროპის მასშტაბის ზედამხედველი უწყებები ბანკების გასაკონტროლებლად. ევროკავშირის ახალი წესები უზრუნველყოფს საბანკო დეპოზიტების მეტ დაცულობას, ზრდის კაპიტალის ოდენობას, რომელიც ბანკებს უნდა ჰქონდეთ სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, არეგულირებს რთულ ფინანსურ პროდუქტებს და შეზღუდვებს აწესებს ბანკების აღმასრულებელი თანამშრომლების ბონუსებზე.

ბ) პროდუქციის გამოყენება ლიცენზიის გარეშე და გაყალბება

აუცილებელია ევროკავშირის ქვეყნების პროდუქციის ლიცენზიის გარეშე გამოყენებისა და გაყალბების წინააღმდეგ დამცავი მექანიზმის შემუშავება. ევროკომისიის გაანგარიშების მიხედვით ევროკავშირს მსგავსი კანონდარღვევები ყოველწლიურად ათასობით სამუშაო ადგილის ფასად უჯდება. სწორედ ამიტომ მუშაობენ ევროკომისია და წევრ სახელმწიფოთა მთავრობები საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის გაძლიერებაზე.

IV. პოლიტიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ერთიან ბაზარს

ა) ტრანსპორტი

ევროკავშირის საქმიანობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სახმელეთო ტრანსპორტით მომსახურებაზე თავისუფლების მოპოვება, განსაკუთრებით, თავისუფალი გასვლის უფლებისა ტრანსპორტის საერთაშორისო ბაზარზე და ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის სატრანსპორტო ფირმების დაშვება ყველა წევრი ქვეყნის ეროვნულ ბაზრებზე. ევროკავშირი ასევე მუშაობს თავისუფალი კონკურენციის უზრუნველსაყოფად საგზაო ტრანსპორტის სექტორში, მაგალითად, მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბაზრის ხელმისაწვდომობასთან, ბიზნესის ჩამოყალიბებისა და მომსახურების გაწევის თავისუფლებასთან, საგზაო უსაფრთხოებასა და ტრანპორტის მოძრაობის გრაფიკთან დაკავშირებული მარეგულირებელი წესების ჰარმონიზების მეშვეობით.

ევროპის საჰაერო ტრანსპორტის სექტორში დომინირებდნენ სახელმწიფო ავიაკომპანიები და სახელმწიფოს კუთვნილი აეროპორტები. ერთიანმა ბაზარმა შეცვალა ეს სიტუაცია. ევროკავშირის ყველა ავიაკომპანიას შეუძლია გაწიოს ავიამომსახურება ნებისმიერ საჰაერო ტრასაზე ევროკავშირში და თავად დააწესოს მგზავრობის ნებისმიერი საფასური. შესაბამისად, გაიხსნა ბევრი ახალი საჰაერო ტრასა და ფასებიც მნიშვნელოვნად დაეცა. ამით ყველამ მიიღო სარგებელი - მგზავრებმა, ავიაკომპანიებმა, აეროპორტებმა და მათმა თანამშრომლებმა.

ანალოგიურად, მგზავრებისთვის ასევე სარგებლის მომტანია მზარდი კონკურენცია სარკინიგზო კომპანიებს შორის. მაგალითად, 2010 წლიდან სადგურებს ჩქაროსნულ ხაზებზე საფრანგეთსა და იტალიაში როგორც საფრანგეთის, ისე იტალიის მატარებლები ემსახურება.

ტვირთის გადაზიდვა უნდა ექვემდებარებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ კონკურენციის წესებს, ხდება ეს ევროპული კომპანიებისა თუ იმ ქვეყნების ხომალდების მიერ, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები. აღნიშნული წესების მიზანია განფასების უსამართლო პრაქტიკასთან ბრძოლა (გემების მიწერა იმ ქვეყნის პორტისათვის, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო საგადასახადო, უსაფრთხოებისა და ა.შ. პირობებს) და, ასევე, იმ სერიოზული სირთულეების მოგვარება, რომელთა წინაშე ევროპის გემთმშენებლობა დგას.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროკავშირი აფინანსებს ახალი ტექნოლოგიების ამბიციურ პროექტებს, როგორიც არის გალილეის სატელიტური ნავიგაციის სისტემა, ევროპის სარკინიგზო მოძრაობის მართვის სისტემა და SESAR - საჰაერო ნავიგაციის სისტემების მოდერნიზების პროგრამა. მნიშვნელოვნად გამკაცრდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები (ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიც არის ავტომანქანების სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება, სახიფათო საქონლის ტრანსპორტირება და გზების უსაფრთხოება). საჰაერო ხომალდების მგზავრთა უფლებების შესახებ ქარტიისა და რკინიგზის მგზავრთა უფლებების შესახებ ამ ბოლოს დროს მიღებული ევროპული კანონის წყალობით ასევე უკეთ არის დაცული მგზავრთა უფლებები. 2005 წელს პირველად გამოქვეყნდა იმ ავიაკომპანიების ჩამონათვალი, რომლებით მგზავრობა არ არის უსაფრთხო და აკრძალულია ევროკავშირში.

(ბ) კონკურენცია

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთიან ევროპულ ბაზარზე არსებობდეს არა მარტო თავისუფალი, არამედ სამართლიანი კონკურენცია. ამ პოლიტიკას ახორციელებს ევროკომისია, რომელიც, მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად, პასუხისმგებელია აღნიშნული პოლიტიკის გატარებაზე.

ამ პოლიტიკის მიზანია, არ დაუშვას, რომ ბიზნესებს შორის ნებისმიერი სახის გარიგებამ, რაიმე სახელმწიფო დახმარების მიღებამ ან უსამართლო მონოპოლიამ ხელი შეუშალოს ერთიან ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარებას.

ყველა ისეთი შეთანხმების შესახებ, რომელიც ხვდება რომის ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიებმა და ორგანიზაციებმა უნდა აცნობონ ევროკომისიას. კომისია უფლებამოსილია, უშუალოდ დააჯარიმოს ნებისმიერი კომპანია, რომელიც დაარღვევს კონკურენციის წესებს ან არ წარუდგენს მას შესაბამის შეტყობინებას, როგორც ეს მოხდა Microsoft-ის შემთხვევაში, რომელიც 2008 წელს 900 მილიონი ევროთი დაჯარიმდა.

უკანონო სახელმწიფო დახმარების ან კომისიის მიერ აღნიშნული დახმარების შესახებ შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში ევროკომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმღებს დახმარების თანხის უკან დაბრუნება. კომისიას ასევე უნდა ეცნობოს კომპანიების შერწყმის ან ერთი კომპანიის მიერ მეორის ხელში ჩაგდების შესახებ, რის შედეგადაც ამ კომპანიამ რომელიმე სექტორში დომინანტური მდგომარეობა შეიძლება მოიპოვოს.

(გ) მომხმარებელთა დაცვა და ადამიანების ჯანმრთელობა

ევროკავშირის კანონმდებლობა ამ სფეროში მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ყველა მომხმარებლისათვის ერთნაირი ფინანსური დაცვა და ჯანმრთელობის დაცვა, მიუხედავად იმისა, თუ ევროკავშირის რომელ ადგილას ცხოვრობენ ისინი, მოგზაურობენ თუ ყიდულობენ სასურველ პროდუქციას. ევროკავშირის მასშტაბის დაცვის საჭიროება 1990-იანი წლების ბოლოს გახდა აქტუალური, როდესაც თავი იჩინა საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ისეთმა საკითხებმა, როგორიც იყო „ძროხის ცოფი“. საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისთვის სათანადო სამეცნიერო საფუძვლის უზრუნველსაყოფად 2002 წელს ჩამოყალიბდა ევროპის საკვების უსაფრთხოების უწყება.

სამომხმარებლო პოლიტიკა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მშვიდად იყიდონ პროდუქცია ნებისმიერ წევრ ქვეყანაში. საქონელი, რომელსაც თქვენ შეიძენთ, და საკვები პროდუქტები, რომლებითაც თქვენ იკვებებით, შემოწმებულია, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება.

მთელი ევროპის მასშტაბის დაცვაა საჭირო ბევრ სხვა სფეროშიც. სწორედ ამიტომ გამოიცემა ევროკავშირის მრავალი დირექტივა კოსმეტიკური საშუალებების, სათამაშოების, ფეიერვერკების და სხვა პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. 1993 წელს დაარსდა ევროპის სამედიცინო სააგენტო, რომელსაც ავალია სამედიცინო პროდუქტებისთვის ევროპულ ბაზარზე გასაყიდად ნებართვების მიღების მიზნით შემოტანილი განაცხადების განხილვა. ევროკავშირის ბაზარზე არც ერთი მედიკამენტი არ გაიყიდება ნებართვის გარეშე.

ევროკავშირი ასევე ახორციელებს სპეციალურ ზომებს, რათა დაიცვას მომხმარებლები თაღლითი მოვაჭრეების მიერ მოტყუებისგან და მაცდური ან შეცდომაში შემყვანი რეკლამის ზემოქმედებისგან, დეფექტის მქონე პროდუქტებისა და დარღვევებისაგან ისეთ სფეროებში, როგორებიც არის მომხმარებელთა კრედიტები, პროდუქციის შეძენა ფოსტის ან ინტერნეტის მეშვეობით.

ეკონომიკური და ფინანსური მართვის სფეროში შემოღებული ახალი წესები ევროკავშირს საბანკო სექტორის გაძლიერებასა და დახვეწაში დაეხმარა.

7. ევრო

- *ევრო ევროკავშირის საერთო ვალუტაა. 28 წევრი სახელმწიფოდან 18-მა მიიღო ევრო. უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ევრო 1999 წლიდან შევიდა ძალაში, ხოლო ყველა სახის ანგარიშსწორებისათვის - 2002 წლიდან, როდესაც გამოშვებული იქნა ევროს ბანკნოტები და მონეტები.*
- *ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები ემზადებიან ევროს სივრცეში შესასვლელად მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებენ აუცილებელ კრიტერიუმებს. მომავალში ევროკავშირის ყველა ქვეყანა უნდა შევიდეს ევროს სივრცეში.*
- *ევრო ევროპელ მომხმარებლებს მნიშვნელოვან უპირატესობებს სთავაზობს. ადამიანებს, რომელთაც მგზავრობა უწევთ, აღარ უხდებათ ვალუტის გადაცვლის ხარჯების გაღება და ნაკლებ დროსაც ხარჯავენ. სასურველი პროდუქციის შეძენისას მომხმარებლებს შეუძლიათ შეადარონ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფასები. ფასების სტაბილურობაზე ევროპის ცენტრალური ბანკია პასუხისმგებელი. გარდა ამისა, ევრო, აშშ დოლართან ერთად, გახდა მნიშვნელოვანი სარეზერვო ვალუტა. ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისის განმავლობაში საერთო ვალუტის არსებობამ დაიცვა ევროს სივრცის ქვეყნები ვალუტის კონკურენტული დევალვაციისგან და სპეკულანტების შემოტევებისაგან.*
- *ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურული სისუსტე ევროს დაუცველს ხდის სპეკულანტების იერიშებისგან. ამ რისკთან გასამკლავებლად ევროკავშირმა შექმნა სოლიდარობის ინსტრუმენტები, რომლებიც კრიზისის დროს დაეხმარა დავალიანების მქონე ქვეყნების უმეტესობას. სამომავლოდ უმთავრესი საკითხია ის, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და ეკონომიკური სოლიდარობა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათი ფინანსური რესურსების კარგი მართვა და შეამცირონ ბიუჯეტის დეფიციტი.*

I. როგორ იქნა შემოღებული ევრო

ა) ევროპის მონეტარული სისტემა

1971 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეუქმებინა ფიქსირებული კავშირი დოლარსა და ოქროს ოფიციალურ ფასს შორის, რომელმაც უზრუნველყო გლობალური სავალუტო სტაბილურობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამით დასრულდა ფიქსირებული კურსების სისტემის არსებობა. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებმა გადაწყვიტეს, შეეზღუდათ ევროპული ქვეყნების ვალუტებს შორის კურსის 2,25%-ზე მეტად მერყეობა და ასე შეიქმნა „ევროპის მონეტარული სისტემა“, რომელიც 1979 წლის მარტში ამოქმედდა.

ბ) ევროპის მონეტარული სისტემიდან ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირამდე

1989 წლის ივნისში, მადრიდში, ევროპულ საბჭოზე, ევროკავშირის სახელმწიფოთა ლიდერებმა მიიღეს სამეტაპიანი გეგმა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დასამკვიდრებლად. ეს გეგმა ევროპული საბჭოს მიერ 1991 წლის დეკემბერში მიღებული, ევროკავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების ნაწილი გახდა.

II. ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

ა) სამი ეტაპი

პირველი ეტაპი, რომელიც 1990 წლის 1 ივლისს დაიწყო, მოიცავდა შემდეგს:

- ევროკავშირის ფარგლებში კაპიტალის სრულიად თავისუფალი მოძრაობა (სავალუტო კურსის კონტროლის გაუქმება);
- სტრუქტურული ფონდების გაზრდა ევროპის რეგიონებს შორის უთანასწორობის თავიდან აცილების მიზნით;
- ეკონომიკური კონვერგენცია წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის მრავალმხრივი კონტროლის საშუალებით.

მეორე ეტაპი 1994 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და ითვალისწინებდა:

- ევროპული სავალუტო ინსტიტუტის დაარსებას ფრანკფურტში; ევროპული სავალუტო ინსტიტუტი შედგებოდა ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებისგან;
- წევრ სახელმწიფოთა ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობას მთავრობის მხრიდან კონტროლისგან;
- წევრ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში დეფიტის შემცირების წესების დადგენას.

მესამე ეტაპი იყო ევროს შემოღება. 1999 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის იანვრამდე ევრო ეტაპობრივად იქნა შემოღებული როგორც საერთო ვალუტა იმ ქვეყნებში, რომლებიც შევიდნენ ევროს სივრცეში (ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი და ფინეთი). ამ დროიდან ევროპის სავალუტო ინსტიტუტის ადგილი ევროპის ცენტრალურმა ბანკმა დაიკავა და მას დაეკისრა პასუხისმგებლობა მონეტარულ პოლიტიკაზე, რომელიც განისაზღვრება და ხორციელდება ევროში.

სამმა ქვეყანამ (დანიამ, შვედეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ) გადაწყვიტა, პოლიტიკური და ტექნიკური მიზეზების გამო, არ მიეღო ევრო. ევროს სივრცეს 2007 წელს შეუერთდა სლოვენია, 2008 წელს - კვიპროსი და მალტა, 2009 წელს - სლოვაკეთი, 2011 წელს ესტონეთი, ხოლო 2014 წელს - ლატვია.

შესაბამისად, ევროს სივრცეში დღეს ევროკავშირის 18 წევრი ქვეყანა შედის და ყოველი ახალი წევრი, რომელიც დააკმაყოფილებს აუცილებელ კრიტერიუმებს, შეუერთდება ამ სივრცეს.

ბ) კონვერგენციის კრიტერიუმები

იმისათვის, რომ შევიდეს ევროს სივრცეში, ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს კონვერგენციის ხუთ კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმებია:

- ფასების სტაბილურობა: ინფლაციის მაჩვენებელი 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე სამი წევრი ქვეყნის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლებს;
- საპროცენტო განაკვეთები: გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები 2%-ზე მეტად არ უნდა განსხვავდებოდეს ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების მქონე სამი წევრი ქვეყნის საშუალო საპროცენტო განაკვეთებისგან;
- დეფიციტი: ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტი უნდა იყოს მშპ-ის 3%-ზე დაბალი;
- სახელმწიფო დავალიანება: არ უნდა არემატებოდეს მშპ-ის 60%-ს;
- საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობა: წინა ორი წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთები ცვალებადობის ნებადართული ზღვრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო.

გ) პაქტი სტაბილურობისა და ზრდის შესახებ

1997 წლის ივნისში ამსტერდამის ევროპულმა საბჭომ მიიღო პაქტი სტაბილურობისა და ზრდის შესახებ. ეს იყო ბიუჯეტის სტაბილურობის შენარჩუნების მიმართ მუდმივი ვალდებულება. შესაძლებელი გახდა ჯარიმების დაწესება ევროს სივრცეში შემავალი ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომლის ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ს აღემატებოდა. პაქტი გაძლიერდა 2011 წელს და იმავე იდეის განსახორციელებლად კიდევ უფრო გაფართოვდა 2012 წელს, როდესაც ევროკავშირის 25 წევრი სახელმწიფოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო შეთანხმებას სახელწოდებით „შეთანხმება ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ“. ამ შეთანხმებას კიდევ „ფისკალურ კომპაქტსაც“ უწოდებენ. იგი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანონ წესები დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ.

დ) "THE EUROGROUP"

"The Eurogroup" ორგანიზაციაა, რომლის ფარლებშიც ერთმანეთს ხვდებიან ევროს სივრცეში შემავალი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები. ამ შეხვედრების მიზანია ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკათა კოორდინირება და ევროს სივრცის ქვეყნების საბიუჯეტო და ფინანსური პოლიტიკის მონიტორინგი. "The Eurogroup" ასევე წარმოადგენს ევროს ინტერესებს საერთაშორისო ფორუმებზე. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე "The Eurogroup"-ს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. 2013 წლის იანვარში "The Eurogroup"-ის პრეზიდენტად ორნახევარი წლის ვადით ნიდერლანდების ფინანსთა მინისტრი იერუნ დაისელბლუმი იქნა არჩეული.

ესტონეთის დედაქალაქი ტალინი: 2011 წლის იანვარში ევრომ „კროონა“ ჩაანაცვლა

ე) 2008 წლის შემდგომი მაკროეკონომიკური კონვერგენცია: ფინანსური კრიზისის შედეგები

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ვალი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში. თუმცა ევრომ დაიცვა ყველაზე მოწყვლადი ეკონომიკური სისტემების უმრავლესობა დევალვაციის რისკისაგან, როდესაც მათ მოუწიათ კრიზისის პირისპირ დადგომა და სპეკულანტების შეტევების მოგერიება.

კრიზისის დასაწყისში ბევრ ბანკს შეექმნა სერიოზული პრობლემა, რომლის დასაძლევადაც ეროვნული მთავრობების მხრიდან ფინანსურ დახმარებას მიმართეს, რითაც სახელმწიფო ვალი გაიზარდა. მოგვიანებით ყურადღება სახელმწიფო ვალზე იქნა გადატანილი, რადგან 2009-2010 წლების ზამთარში ყურადღების ცენტრში მოექცა დიდი დავალიანების მქონე ზოგიერთი სახელმწიფო, რომლის ბიუჯეტის დეფიციტი უარესდებოდა. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ ევროკავშირის ლიდერებმა ჩამოაყალიბეს „ევროპის სტაბილურობის მექანიზმი“. ამ ანტიკრიზისული ფონდის დაკრედიტების პოტენციალი 500 მილიარდი ევროა და იგი შედგება ევროს სივრცის ქვეყნების მიერ გარანტირებული თანხებისგან და გამოიყენება ევროს სივრცეში ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. 2010-13 წლებში ხუთმა ქვეყანამ (ესპანეთმა, ირლანდიამ, კვიპროსმა, პორტუგალიამ და საბერძნეთმა) გააფორმა ხელშეკრულება ევროკავშირის სხვადასხვა უწყებასთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური დახმარების თაობაზე. ხელშეკრულებები მისადაგებული იქნა თითოეულ ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან, მაგრამ ყველა მათგანი მოიცავდა რეფორმებს კონკრეტულ ქვეყანაში საჯარო სექტორის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. 2013 წლისათვის ირლანდია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც წარმატებით დაასრულა ეკონომიკური რეგულირების შეთანხმებული პროგრამა და დაიწყო ფულის ისევ უშუალოდ კაპიტალის ბაზრებზე სესხება.

კრისიზე რეაგირების სახით ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და ინსტიტუტებმა ასევე აამოქმედეს ლისაბონის ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ეკონომიკური მართვის განმტკიცებას: წევრ სახელმწიფოთა საბიუჯეტო გეგმების წინასწარ განხილვას; წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკების მონიტორინგს და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული წესების გამკაცრებას სანქციების დაწესებით, თუკი ქვეყნები დაარღვევენ ფინანსურ წესებს. ეს პროცესი ყოველი წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობს და მას „ევროპული სემესტრი“ ეწოდება.

ამგვარად, გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე საპასუხოდ ევროკავშირს უხდება უფრო მტკიცე ქმედებების განხორციელება იმის უზრუნველსაყოფად, რომ წევრი სახელმწიფოები თავ-თავიანთ ბიუჯეტებს პასუხისმგებლურად მართავდნენ და ერთმანეთს ფინანსურად მხარს უჭერდნენ. ეს არის ერთადერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ შენარჩუნებული იქნეს ევროს სანდოობა საერთო ვალუტის სახით და რომ წევრ სახელმწიფოებს შეეძლოთ ერთად დაუპირისპირდნენ გლობალიზაციით გამოწვეულ ეკონომიკურ გამოწვევებს. როგორც ევროკომისია, ისე ევროპარლამენტი ხაზს უსვამენ წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კოორდინირების მნიშვნელობას, ვინაიდან - გრძელვადიან პერსპექტივაში - ევროპის საერთო ვალუტა ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი საერთო ეკონომიკური მართვის რაიმე ფორმის არსებობის გარეშე.

8. სწრაფვა ცოდნისა და ინოვაციისაკენ

სტრატეგია „ევროპა 2020“ მიზნად ისახავს:

- *გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის გამოწვევებს უპასუხოს ევროპული ეკონომიკის უფრო კონკურენტუნარიანად გადაქცევის მეშვეობით (ტელეკომუნიკაციები, მომსახურებები, ენერგეტიკა, მდგრადი განვითარებისკენ მიმართული ახალი მწვანე ტექნოლოგიები);*
- *უზრუნველყოს:*
  - *ცოდნაზე დამყარებული განვითარება: ცოდნის, ინოვაციის, განათლებისა და ციფრული საზოგადოების დამკვიდრება;*
  - *მდგრადი განვითარება: რესურსების უფრო მეტად დამზოგველი, უფრო მწვანე და უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკის დამკვიდრების ხელშეწყობა;*
  - *ყოვლისმომცველი ეკონომიკური განვითარება: დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მქონე და სოციალური და ტერიტორიული ინტეგრაციის პრინციპზე დამყარებული ეკონომიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.*

1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ორმა დიდმა ცვლილებამ გამოიწვია ეკონომიკისა და ყოველდღიური ცხოვრების ტრანსფორმაცია მთლიანად მსოფლიოში (და ევროპაშიც). პირველი იყო გლობალიზებული ეკონომიკის წარმოქმნა, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური სისტემები უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდებოდა, ხოლო მეორე იყო ტექნოლოგიური რევოლუცია - ინტერნეტი, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ამ მოვლენების საპასუხოდ 2000 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა სტრატეგია სახელწოდებით „ლისაბონის პროცესი“, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის ეკონომიკის მოდერნიზებას.

ახლახანს მსოფლიო შეარყია მსხვილმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც გამოიწვია მწვავე ეკონომიკური ვარდნა და უმუშევრობის გაზრდა ევროპაში. ლისაბონის პროცესს 2010 წელს მოჰყვა სტრატეგია „ევროპა 2020“, რომელიც ითვალისწინებს რიგ ინიციატივებს, რომელთა მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკების უფრო პროდუქტიულად ქცევა და სოციალური ინტეგრაციის გაზრდა.

ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე:

გააფართოონ ევროკომისიის როლი პროცესის წარმართვაში, კერძოდ, ევროპაში „საუკეთესო პრაქტიკის“ გავრცელების გზით;

- მიიღონ უფრო სწრაფი ზომები მათი ფინანსური ბაზრებისა და სოციალური დაცვის სისტემების რეფორმირების და მათი ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სექტორების კონკურენციისთვის გახსნის მიზნით;
- გააუმჯობესონ მათი განათლების სისტემები, მეტი გააკეთონ ახალგაზრდებისთვის სამუშაოს პოვნაში დახმარების მიზნით, ხელი შეუწყონ უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნეს-საწარმოებს შორის უფრო ძლიერ კავშირებს და გააგრძელონ პროგრამები Erasmus, Leonardo და Erasmus Mundus;
- მიიღონ უფრო სწრაფი ზომები (მაგალითად, მათი საგადასახადო და სოციალური დაცვის მექანიზმების ჰარმონიზების გზით) კვლევისთვის „ერთიანი ევროპული ბაზრის“ შესაქმნელად - რომელიც შესაძლებლობას მისცემს მეცნიერებს, ცოდნასა და ტექნოლოგიებს, თავისუფლად გადაადგილდნენ მთელი ევროპის მასშტაბით;
- გაზარდონ სახსრების ხარჯვა კვლევასა და ინოვაციებზე მშპ-ის 3%-მდე (ეს მიზანი ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც დაისახა).

ევროპული საბჭო ყოველ გაზაფხულზე იკრიბება, რათა განიხილოს წარმატება ზემოთ აღწერილი სტრატეგიის განხორციელებაში.


© Massimo Brega/The Lighthouse/Science Photo Library

იმისთვის, რომ გლობალურ კონკურენციას არ ჩამორჩეს, ევროკავშირი ხელს უწყობს ტექნლოგიებსა და ინოვაციას.

9. რას ნიშნავს, იყო ევროპის მოქალაქე?

- *ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ გადაადგილდნენ, იცხოვრონ და იმუშაონ ევროპის ნებისმიერ ადგილას.*
- *ევროკავშირი ხელს უწყობს და აფინანსებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც აერთიანებს და აახლოებს მოქალაქეებს, განსაკუთრებით განათლებისა და კულტურის სფეროებში.*
- *ევროკავშირისადმი კუთვნილების გრძნობა განვითარდება თანდათანობით, ხელშესახები წარმატებებისა და მიღწევების გათვითცნობიერების გზით.*
- *უკვე არსებობს გარკვეული სიმბოლოები, რომლებსაც ცნობენ ადამიანები და რომლებიც ასახავს ერთიანი ევროპისადმი კუთვნილებას. ეს სიმბოლოებია საერთო ვალუტა, ევროპის დროშა და ჰიმნი.*
- *მკვიდრდება „ევროპის საჯარო სფერო“ ევროპის მასშტაბის პოლიტიკური პარტიებით. მოქალაქეები ხუთ წელიწადში ერთხელ კენჭს უყრიან ახალ ევროპარლამენტს, რომელიც შემდეგ ირჩევს ახალ ევროკომისიას.*

ევროკავშირის მოქალაქეობა განსაზღვრულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებაში: „ყოველი პირი, რომელსაც აქვს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა, იქნება ევროკავშირის მოქალაქე. ევროკავშირის მოქალაქეობა კი არ ჩაანაცვლებს, არამედ დაემატება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას“ (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტი). მაგრამ რას ნიშნავს რეალობაში ევროკავშირის მოქალაქეობა?

I. ევროპაში გადაადგილება, ცხოვრება და მუშაობა

თუ თქვენ ევროკავშირის მოქალაქე ხართ, თქვენ გაქვთ ევროკავშირის ნებისმიერ ადგილას გადაადგილების, ცხოვრებისა და მუშაობის უფლება.

თუ თქვენ დაასრულეთ უმაღლესი სასწავლებლის კურსი, რომლის ხანგრძლივობა სამი ან მეტი წელია, თქვენი კვალიფიკაცია აღიარებული იქნება ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, ვინაიდან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ენდობიან ერთმანეთის განათლებისა და ტრენინგის სისტემების ხარისხს.

თქვენ უფლება გაქვთ, იმუშაოთ ჯანმრთელობის დაცვის, საგანმანათლებლო და სხვა საჯარო ორგანიზაციებში ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში (გარდა პოლიციის, შეიარაღებული ძალებისა და ა.შ.). მართლაც, რაოდენ კარგი და სასარგებლოა, დაიქირავო ბრიტანელი მასწავლებელი რომში ინგლისური ენის მასწავლებელად ან წაახალისო ახალგაზრდა ბელგიელი კურსდამთავრებული, სახელმწიფო სამსახურის გამოცდა საფრანგეთში გაიაროს!

ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილებამდე საკუთარი მთავრობისგან შეგიძლიათ მიიღოთ ჯანმრთელობის დაზღვევის ევროპული ბარათი, რომელიც დაგეხმარებათ სამედიცინო ხარჯების დაფარვაში, თუ ეს სხვა ქვეყანაში ყოფნის დროს დაგჭირდებათ.

II. როგორ შეუძლიათ ევროპის მოქალაქეებს საკუთარი უფლებების გამოყენება

ევროკავშირის მოქალაქეები არ არიან მხოლოდ მომხმარებლები ან მონაწილეები ეკონომიკისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროებში. მათ, როგორც მოქალაქეებს, აქვთ კონკრეტული პოლიტიკური უფლებები. მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად,

© Christophe Vander Eecken/Reporters

ევროპელებს თავისუფლად შეუძლიათ იცხოვრონ და იმუშავონ ევროკავშირის იმ ქვეყანაში, რომელსაც აირჩევენ

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიით უზრუნველყოფილი ერთ–ერთი ძირითადი უფლება ოჯახური ცხოვრების საქმიან კარიერასთან შეჯერების უფლებაა.

კავშირის თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, აქვს უფლება, ხმა მისცეს და კენჭი იყაროს როგორც კანდიდატმა იმ ქვეყნის ადგილობრივ არჩევნებში, სადაც ის ცხოვრობს, და ევროპარლამენტის არჩევნებში.

2009 წლის დეკემბრიდან (როდესაც ლისაბონის ხელშეკრულება შევიდა ძალაში) ევროკავშირის მოქალაქეებს ასევე აქვთ უფლება, პეტიციით მიმართონ ევროკომისიას და წამოაყენონ საკანონმდებლო წინადადება - იმ შემთხვევაში, თუ მათ პეტიციას ხელს მოაწერს მილიონი ადამიანი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი რაოდენობიდან.

III. ძირითადი უფლებები

მოქალაქეთა უფლებების მიმართ ნაკისრი ვალდებულება ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 2000 წლის დეკემბერში, ნიცაში, როდესაც ევროპულმა საბჭომ საზეიმოდ გამოაქვეყნა ძირითადი უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტია. ეს ქარტია შეიმუშავა კონვენტმა, რომელშიც შედიოდნენ წევრ სახელმწიფოთა პარლამენტების წევრები, ევროპარლამენტის წევრები, ეროვნული მთავრობების წარმომადგენლები და ევროკომისიის წევრი. ქარტიის ექვს თავში, რომელთაც ეწოდებათ „ღირსება“, „თავისუფლებები“, „თანასწორობა“, „სოლიდარობა“, „მოქალაქეთა უფლებები“ და „მართლმსაჯულება“ და რომლებიც 54 მუხლისგან შედგება, ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ძირითადი ფასეულობები და ევროკავშირის მოქალაქეთა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკომინომიკური და სოციალური უფლებები.

ქარტიის დასაწყისში მოცემული მუხლების თემაა ადამიანის ღირსება, სიცოცხლის უფლება, ადამიანის ხელშეუხებლობის უფლება და აზრის გამოხატვისა და სინდისის თავისუფლების უფლება. სოლიდარობის შესახებ თავში ახლებური სახით არის შესული სოციალური და ეკონომიკური უფლებები:

გაფიცვის უფლება;
- მშრომელთა უფლება, მიიღონ ინფორმაცია და გაიარონ კონსულტაციები;
- ოჯახური და პროფესიული ცხოვრების შეთავსების უფლება;
- ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების უფლება ევროკავშირის მასშტაბით.

ქარტია ხელს უწყობს ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას და ამკვიდრებს ისეთ უფლებებს, როგორებიცაა მონაცემთა დაცვა, ადამიანის კლონირების აკრძალვა, გარემოს დაცვის უფლება, ბავშვთა და მოხუცთა უფლებები და კარგი მართვის უფლება.

ლისაბონის ხელშეკრულებამ, რომელიც 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა ძალაში, ქარტიას ისეთივე ძალა მიანიჭა, როგორიც ხელშეკრულებებს აქვთ - ასე რომ, მის საფუძველზე შესაძლებელია საქმის აღძვრა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (თუმცა ქარტიის მოქმედება პოლონეთსა და გაერთიანებულ სამეფოში განსაზღვრულია ოქმში და ეს მოგვიანებით ჩეხეთის რესპუბლიკაზეც გავრცელდება).

გარდა ამისა, ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლი ადგენს სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელის მოწერისათვის. ასეთ შემთხვევაში ამ კონვენციის მხოლოდ მითითება კი არ მოხდება ევროკავშირის ხელშეკრულებებში, არამედ მას ისეთივე ძალა ექნება ევროკავშირის ქვეყნებში და ამის შედეგად ადამიანის უფლებები ევროკავშირში უკეთესად იქნება დაცული.

IV. ევროპა ნიშნავს განათლებას და კულტურას

შეუძლებელია ერთი მთლიანისადმი კუთვნილებისა და საერთო ბედ-იღბლის გაზიარების გრძნობის ხელოვნურად შექმნა. ის მხოლოდ საერთო კულტურულმა ცნობიერებამ შეიძლება წარმოშვას. სწორედ ამიტომ არის დღეს საჭირო, რომ ევროპამ კონცენტრირება მოახდინოს არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ განათლებაზე, მოქალაქეობასა და კულტურაზე.

ევროკავშირი არ ადგენს, თუ როგორ უნდა მოხდეს სკოლებისა და ზოგადად განათლების სისტემების ორგანიზება ან როგორი უნდა იყოს სასწავლო პროგრამები. ეს საკითხები სახელმწიფო ან ადგილობრივ დონეებზე წყდება. მაგრამ ევროკავშირი ახორციელებს ისეთ პროგრამებს, როგორიც არის “Erasmus +“, რათა ხელი შეუწყოს გაცვლით პროგრამებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, წავიდნენ საზღვარგარეთ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივ სასკოლო ღონისძიებებში, შეისწავლონ უცხო ენები და ა.შ. განზრახულია, რომ 2014-2020 წლებში 4 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღოს ამ სახის დახმარება.

ევროპის ქვეყნები თანამშრომლობენ - „ბოლონიის პროცესის“ მეშვეობით - რათა შექმნან ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე. ეს ნიშნავს, მაგალითად, რომ ყველა ქვეყანაში საუნივერსიტეტო კურსის გავლის შედეგად ახალგაზრდები მიიღებენ ყველა სხვა ქვეყანაში მოქმედ და აღიარებულ ხარისხებს (ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის).

კულტურის სფეროში ევროკავშირის პროგრამა „კრეატიული ევროპა“ იძლევა სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო პროგრამების ავტორების, პრომოუტერების, მაუწყებლებისა და ხელოვნების მუშაკების თანამშრომლობის შესაძლებლობას. ეს ხელს უწყობს უფრო მეტი ევროპული სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების შექმნას, რაც აღადგენს ბალანსს ევროპულ და ამერიკულ წარმოებას შორის.

ევროპის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ენების მრავალფეროვნება - და ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება ევროკავშირის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მართლაც, ენების მრავალფეროვნებას არსებითი დატვირთვა აქვს ევროკავშირის ფუნქციონირებისთვის. ევროკავშირის კანონმდებლობა უნდა არსებობდეს 24 ოფიციალურ ენაზე და პარლამენტის თითოეულ წევრს აქვს უფლება, საპარლამენტო დებატებზე ისარგებლოს თავისი მშობლიური ენით.

V. ომბუდსმენი და ევროპარლამენტში პეტიციის შეტანის უფლება

თავის ხალხთან ევროკავშირის დაახლოების მიზნით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით შემოღებული იქნა სახალხო დამცველის – ომბუდსმენის თანამდებობა. ევროპარლამენტი ნიშნავს ომბუდსმენს, რომელსაც ეს თანამდებობა პარლამენტის ფუნქციონირების მთელი ხნის განმავლობაში უკავია. ომბუდსმენის მოვალეობაა, შეისწავლოს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და უწყებების წინააღმდეგ აღძრული საჩივრები. საჩივრის შეტანა შეუძლია ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს და ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს, ან ორგანიზაციას, რომელიც მდებარეობს ევროკავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში. ომბუდსმენი ცდილობს, მშვიდობიანი გზით მოაგვაროს ურთიერთობა მოსარჩელესა და ინსტიტუტსა თუ უწყებას შორის.

მოქალაქეებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების დამაკავშირებელი მეორე მნიშვნელოვანი საშუალებაა წევრ ქვეყნებში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის უფლება, წარადგინოს პეტიცია ევროპარლამენტში.

VI. ევროკავშირისადმი კუთვნილების გრძნობა

„მოქალაქეთა ევროპის“ ცნება ახალია. უკვე არსებობს გარკვეული სიმბოლოები, რომლებიც ევროპულ ერთობას გამოხატავს, როგორიც არის ევროპული პასპორტი (ხმარებაშია 1985 წლიდან). 1996 წლიდან ევროკავშირის ყველა ქვეყანაში უშვებენ ევროპულ მართვის მოწმობებს; ევროკავშირს აქვს დევიზი: „გაერთიანებული მრავალფეროვნება“, ხოლო 9 მაისს „ევროპის დღე“ აღინიშნება.

ევროპული ჰიმნი (ბეთჰოვენის „ოდა სიხარულს“) და ევროპული დროშა (ლურჯ ფონზე წრეზე განლაგებული 12 ოქროსფერი ვარსკვლავი) საგანგებოდ აღინიშნა ევროკავშირის 2004 წლის კონსტიტუციის პროექტში, მაგრამ ამოღებული იქნა ლისაბონის ხელშეკრულებიდან, რომელმაც ჩაანაცვლა კონსტიტუცია. თუმცა ისინი მაინც ევროკავშირის სიმბოლოებია და წევრ სახელმწიფოებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და ცალკეულ მოქალაქეებს კვლავ შეუძლიათ მათი გამოყენება სურვილის შემთხვევაში.

მაგრამ ადამიანებს ვერ გაუჩნდებათ განცდა, რომ ისინი ევროკავშირს „მიეკუთვნებიან“, თუ მათ არ ეცოდინებათ, რას აკეთებს ევროკავშირი და არ გაათვითცნობიერებენ, თუ რატომ აკეთებს იგი ამას. ევროკავშირის ინსტიტუტებმა და წევრმა სახელმწიფოებმა ბევრად მეტი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მოქალაქეებს ევროკავშირის საქმეები მარტივი და გასაგები ენით აუხსნან.

ადამიანებმა ასევე უნდა დაინახონ, რომ ევროკავშირის საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამ თვალსაზრისით 2002 წლიდან ევროს ბანკნოტებისა და მონეტების გამოყენებას უდიდესი ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვა. ევროკავშირის მოქალაქეთა ორ მესამედზე მეტს პირადი ბიუჯეტი და დანაზოგები დღეს ევროში აქვს. საქონლისა და მომსახურების ევროში განფასება საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, უშუალოდ შეადარონ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფასები.

შენგენის შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში გაუქმებულია სასაზღვრო შემოწმება და ეს მოქალაქეებში აღვივებს გრძნობას, რომ ისინი მიეკუთვნებიან ერთიან გეოგრაფიულ სივრცეს.

კუთვნილების განცდა ყველაზე მეტად მოაქვს ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უშუალოდ ჩართულობის გრძნობას. ევროკავშირის ყოველ ზრდასრულ მოქალაქეს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ევროპარლამენტის არჩევნებში და ეს ევროკავშირის დემოკრატიული ლეგიტიმურობის მნიშვნელოვანი საფუძველია. ეს ლეგიტიმურობა კიდევ უფრო იზრდება ევროპარლამენტისთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭების შედეგად, იმის შედეგად, რომ წევრ სახელმწიფოთა პარლამენტებს მეტი ეთქმით ევროკავშირის საქმეებში და ევროპის მოქალაქეები უფრო აქტიურად ერთვებიან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, პოლიტიკურ მოძრაობებში და ქმნიან ევროპის მასშტაბის პოლიტიკურ პარტიებს. თუ გსურთ ევროპული კურსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა და ევროკავშირის პოლიტიკაზე ზემოქმედება, ამისათვის ბევრი გზა არსებობს. არსებობს, მაგალითად, ონლაინ სადისკუსიო ფორუმები ევროკავშირის საქმეებთან დაკავშირებით, სადაც შეგიძლიათ ჩაერთოთ დებატებში, გარდა ამისა, შეგიძლიათ გამოაქვეყნოთ თქვენი შეხედულებები კომისიონერების ან პარლამენტის წევრების ბლოგებზე. ასევე შეგიძლიათ უშუალოდ დაუკავშირდეთ ევროკომისიას ან ევროპარლამენტს ინტერნეტით ან თქვენს ქვეყანაში არსებული მათი ოფისების მეშვეობით (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბროშურის უკანა ყდა).

ევროკავშირი შეიქმნა იმისათვის, რომ ემსახუროს ევროპელ ხალხებს და მისი მომავალი ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი ადამიანების აქტიური მონაწილეობით უნდა გამოიძერწოს. ევროკავშირის დამფუძნებელმა მამებმა კარგად იცოდნენ ეს. „ჩვენ არ ვაახლოებთ ერთმანეთს ქვეყნებს, ჩვენ ხალხებს ვაერთიანებთ“, - თქვა 1952 წელს ჟან მონემ. ევროკავშირის შესახებ საზოგადოების ცოდნის ამაღლება და მის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართვა ევროკავშირის ინსტიტუტების წინაშე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ამოცანად რჩება.

10. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება ევროპაში

- *ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის შიდა საზღვრების გახსნა ძალზე ხელშესახები სარგებელია ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის – ეს მათ სასაზღვრო კონტროლის გარეშე, თავისუფალი გადაადგილების საშუალებას აძლევს.*
- *თუმცა ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების პარალელურად ევროკავშირის გარეთა საზღვრებზე უნდა გამკაცრდეს კონტროლი ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან, უკანონო იმიგრაციასთან, ადამიანებით ტრეფიკინგთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ქმედითი ბრძოლის მიზნით.*
- *ევროკავშირის ქვეყნები თანამშრომლობენ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მართლმსაჯულების სფეროში, რათა ევროპა გახდეს უფრო დაცული და უსაფრთხო.*

ევროპის მოქალაქეებს უფლება აქვთ, ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იცხოვრონ მშვიდობიან გარემოში, დევნისა და ძალადობის შიშის გარეშე. მაგრამ ევროპელებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საერთაშორისო დანაშაული და ტერორიზმია.

ცხადია, რომ გადაადგილების თავისუფლება უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა ადამიანისთვის ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთნაირი დაცვა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ასე რომ წლების მანძილზე, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანით, ევროკავშირი თანდათანობით ხდებოდა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე“.

ამ სფეროებში ევროკავშირის ქმედების მასშტაბი წლების განმავლობაში გაიზარდა: ევროპულმა საბჭომ მიიღო სამი ჩარჩო პროგრამა: პროგრამა „ტამპერე“ (1999-2004), ჰააგის პროგრამა (2005-09) და სტოკჰოლმის პროგრამა (2010-14). პროგრამა „ტამპერე“ და ჰააგის პროგრამა მიზნად ისახავდნენ უსაფრთხოების გაძლიერებას, ხოლო სტოკჰოლმის პროგრამა უფრო მეტად მოქალაქეთა უფლებების დაცვაზეა კონცენტრირებული.

გადაწყვეტილებათა მიღება ამ სფეროებში უფრო ეფექტიანი გახდა ლისაბონის ხელშეკრულების წყალობით, რომელიც ძალაში 2009 წლის დეკემბერში შევიდა. მანამდე წევრ სახელმწიფოებს თავად ეკისრათ სრული პასუხისმგებლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნასა და მართვაზე. ან სფეროში საქმიანობას მხოლოდ ევროკავშირის საბჭო ახორციელებდა (წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მინისტრებს შორის დისკუსიისა და შეთანხმების გზით), ხოლო ევროკომისიასა და ევროპარლამენტს მხოლოდ მცირედი როლი ჰქონდათ. ლისაბონის ხელშეკრულებამ შეცვალა ეს მდგომარეობა: ახლა საბჭო თავის გადაწყვეტილებათა უმეტესობას ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით იღებს და ევროპარლამენტი მისი თანასწორი პარტნიორი გახდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

I. თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირში და მისი გარე საზღვრების დაცვა

ევროკავშირში მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება წევრი ქვეყნების მთავრობების წინაშე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს წამოჭრის, ვინაიდან ისინი აღარ აკონტროლებენ შიდა საზღვრებს. ამიტომ საჭიროა ევროკავშირის გარე საზღვრების კონტროლისთვის უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება. გარდა ამისა, ვინაიდან შიდა საზღვრებზე თავისუფალი გადაადგილების უფლების ბოროტად გამოყენება კრიმინალებსაც შეუძლიათ, წევრ სახელმწიფოთა პოლიციის ძალებმა და სასამართლო ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროკავშირის მოსახლეობა თანდათანობით ბერდება. ევროკავშირში ლეგალურად მცხოვრებ და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებს წვლილი შეაქვთ ევროკავშირის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

ევროკავშირის საბაჟო სამსახურებს შორის თანამშრომლობა ხელს უწყობს ტრეფიკინგისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ევროკავშირში მგზავრობის გამარტივების ხელშესაწყობად მოხდა 1985 წელს, როდესაც ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლუქსემბურგის პატარა სასაზღვრო ქალაქ შენგენში. ისინი შეთანხმდნენ, გაეუქმებინათ ნებისმიერი პირისათვის, მოქალაქეობის მიუხედავად, მგზავრობაზე დაწესებული ყველა სახის კონტროლი მათ საერთო საზღვრებზე, მოეხდინათ მათ მოსაზღვრე, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან საზიარო საზღვრებზე კონტროლის ღონისძიებების ჰარმონიზება და შემოეღოთ ვიზებთან დაკავშირებული საერთო პოლიტიკა. ამ გზით მათ შექმნეს სივრცე შიდა საზღვრების გარეშე - შენგენის სივრცე.

ამის შემდეგ შენგენის შეთანხმება და მის საფუძველზე შექმნილი კანონმდებლობა ევროკავშირის ხელშეკრულებათა განუყოფელი ნაწილი გახდა და შენგენის სივრცე თანდათანობით გაფართოვდა. 2013 წლისათვის შენგენის შეთანხმებით დადგენილ წესებს სრულად ასრულებდა ევროკავშირის ყველა ქვეყანა, გარდა ბულგარეთის, ხორვატიის, კვიპროსის, ირლანდიის, რუმინეთის და გაერთიანებული სამეფოსი. შენგენის სივრცეში შედის ევროკავშირის არაწევრი ოთხი ქვეყანაც - ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

2004 და 2007 წლებში ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად ევროკავშირის გარე საზღვრებზე სასაზღვრო შემოწმების გამკაცრებას პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა. ევროკავშირის უწყებას სახელწოდებით „ფრონტექსი“, რომელიც ვარშავაში მდებარეობს, აკისრია გარე საზღვრების უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის მასშტაბით თანამშრომლობის მართვის ფუნქცია. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ უწყებას ათხოვონ თავიანთი გემები, ვერტმფრენები და თვითმფრინავები ერთობლივი პატრულირების ჩასატარებლად - მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირეთის რთულ ტერიტორიებზე. ევროკავშირი ასევე განიხილავს ევროპის სასაზღვრო დაცვის სამსახურის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

II. თავშესაფრის მინიჭებისა და იმიგრაციის პოლიტიკა

ევროპა ამაყობს თავისი ჰუმანური ტრადიციით – კეთილი ნებით, მიიღოს უცხო ქვეყნების მოქალაქეები და თავშესაფარი მისცეს ლტოლვილებს, რომელთაც სხვადასხვა საფრთხე და დევნა ემუქრებათ. თუმცა დღეს ევროკავშირის სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე დგას პრობლემა - როგორ გადაჭრან ლეგალური და არალეგალური ემიგრანტების სულ უფრო მზარდი რაოდენობის მიღების საკითხი ტერიტორიაზე, სადაც აღარ არსებობს შიდა საზღვრები.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდნენ, მოეხდინათ საკუთარი წესების ჰარმონიზება იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო თავშესაფარის მიღების შესახებ განაცხადების დამუშავება მთელი ევროკავშირის მასშტაბით აღიარებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად. შემოღებული იქნა საერთო მინიმალური სტანდარტები თავშესაფრის მიღების მსურველთათვის და მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის. ჩამოყალიბდა თავშესაფრის მინიჭების ხელშეწყობის ევროპული სამსახური, რომელიც მალტაში მდებარეობს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ამ სფეროში თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

უკანასკნელ წლებში ევროპაში დიდი რაოდენობით არალეგალური იმიგრანტი ჩამოდის და ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული საკითხი ამ პრობლემასთან გამკლავებაა. წევრ სახელმწიფოთა მთავრობები ერთობლივად მუშაობენ ადამიანების კონტრაბანდასთან საბრძოლველად და არალეგალური იმიგრანტების რეპატრიაციის საერთო მექანიზმების შესათანხმებლად. ამავე დროს, გაუმჯობესებულია ლეგალური იმიგრაციის კოორდინირება ევროკავშირის წესების შესაბამისად, რომლებიც ეხება ოჯახის გაერთიანებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქვეყნებში მცხოვრები ადამიანების სტატუსს და იმ ადამიანების დაშვებას, რომლებიც არ არიან ევროკავშირის მოქალაქეები და სურთ ევროპაში სასწავლად ან კვლევის საწარმოებლად ჩამოსვლა.

III. საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლა

საჭიროა კოორდინირებული ბრძოლა იმ კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც ტრეფიკინგის ქსელს განაგებენ და ექსპლუატაციას უწევენ დაუცველ ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს.

ორგანიზებული დანაშაული უფრო და უფრო იკრებს ძალას და რეგულარულად იყენებს ევროპულ ან საერთაშორისო ქსელებს თავისი საქმიანობისთვის. ბოლო დროის მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ტერორიზმს შეუძლია სასტიკ იერიშზე გადავიდეს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას.

სწორედ ამის გამო ჩამოყალიბდა შენგენის საინფორმაციო სისტემა. ეს არის მონაცემთა კომპლექსური ბაზა, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიციასა და სასამართლო ორგანოებს, გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია იმ ადამიანთა შესახებ, რომელთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან გაცემულია მათი ექსტრადიციის მოთხოვნა, ასევე მოპარული ქონების – მაგალითად, ავტომანქანების ან ხელოვნების ნიმუშების – შესახებ. შენგენის საინფორმაციო სისტემა II-ის სახელით ცნობილ ახალი თაობის მონაცემთა ბაზას უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს და იგი ახალი ტიპის მონაცემთა შენახვის საშუალებას იძლევა.

კრიმინალების დაკავების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება უკანონო გზით მოპოვებული მათი შემოსავლებისთვის თვალის მიდევნებაა. ამ მიზნით, ასევე კრიმინალური და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების შესამცირებლად ევროკავშირმა მიიღო ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა.

ძალოვან სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის სფეროში ბოლო წლების უდიდესი მიღწევა იყო „ევროპოლის“ შექმნა. „ევროპოლი“ ევროკავშირის ორგანიზაციაა, რომლის შტაბბინა ჰაგაში მდებარეობს. მისი თანამშრომლები პოლიციისა და საბაჟოს წარმომადგენლები არიან. „ევროპოლი“ მრავალი სახის საერთაშორისო დანაშაულს ებრძვის: ნარკოტიკებით ვაჭრობას, მოპარული ავტომანქანებით ვაჭრობას, ადამიანებით ტრეფიკინგსა და არალეგალური იმიგრაციის ქსელებს, ქალებისა და ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას, პორნოგრაფიას, ფალსიფიცირებას, რადიოაქტიული და ატომური მასალებით ტრეფიკინგს, ტერორიზმს, ფულის გათეთრებას და ევროს ფალსიფიცირებას.

IV. „ევროპული მართლმსაჯულების სივრცისაკენ“

ამჟამად ევროკავშირში ერთმანეთის გვერდით ბევრი სხვადასხვა სასამართლო სისტემა არსებობს – ყოველ ქვეყანას თავისი სისტემა აქვს. მაგრამ საერთაშორისო დანაშაული და ტერორიზმი არ ცნობენ სახელმწიფო საზღვრებს. სწორედ ამიტომ სჭირდება ევროკავშირს ერთიანი სტრუქტურა ტერორიზმთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფალსიფიცირებასთან საბრძოლველად, რათა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეებისთვის მაღალი დონის დაცვა და გააუმჯობესოს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში. საჭიროა ასევე სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირის საერთო პოლიტიკის შემოღება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს შორის თანამშრომლობას შეიძლება ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის ზოგიერთი ქმედების განსხვავებულმა განმარტებებმა, რომლებიც ამ ქვეყნებშია მიღებული.

ნაყოფიერი თანამშრომლობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ სფეროში „ევროჯასტის“ მიერ ჩატარებული სამუშაოა. „ევროჯასტი“ ცენტრალური საკოორდინაციო სტრუქტურაა, რომელიც 2003 წელს ჰაგაში დაარსდა. მისი მიზანია, საშუალება მისცეს ეროვნულ საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოებს, ითანამშრომლონ სისხლის სამართლის გამოძიებაში, რომელიც ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. „ევროჯასტის“ ბაზაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის საზოგადოებრივი პროკურორის ოფისი - თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირის საბჭო (ან სულ მცირე ცხრა წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი ჯგუფი). პროკურორის ფუნქცია იქნება ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა.

ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმაა ევროპული დაპატიმრების ორდერი, რომელიც 2004 წლის იანვრიდან მოქმედებს. მან შეცვალა ექსტრადიციის ხანგრძლივი პროცედურები.

სამოქალაქო სამართლის სფეროში ევროკავშირმა მიიღო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენების ხელშესაწყობად იმ საქმეებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას მოიცავს და ეხება გაყრას, მეუღლეთა დაცალკევებას, ბავშვზე მეურვეობასა და აღზრდას, რათა ერთ ქვეყანაში მიღებული სასამართლო განაჩენი მისაღები იყოს მეორე ქვეყანაშიც. ევროკავშირმა შემოიღო ყველა ქვეყნისათვის საერთო პროცედურები, რათა საქმეებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას მოიცავს, გაემარტივებინა და დაეჩქარებინა რეგულირება მცირე და გაუსაჩივრებელი სამოქალაქო სარჩელებისა, როგორიც არის, მაგალითად, ვალის მოთხოვნა და გაკოტრება.

11. ევროკავშირი მსოფლიო არენაზე

- *ევროკავშირს მეტი გავლენა აქვს მსოფლიო არენაზე, როდესაც საერთაშორისო საქმეებში თავისი წევრი სახელმწიფოების სახელით ერთხმად ლაპარაკობს. ამის კარგი მაგალითია მოლაპარაკებები ვაჭრობის სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად და ევროკავშირის საერთაშორისო პრესტიჟის ასამაღლებლად 2009 წელს შემოღებული იქნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა და დაინიშნა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.*
- *თავდაცვის სფეროში თითოეული ქვეყანა ინარჩუნებს სუვერენიტეტს, მიუხედავად იმისა, ნატო-ს წევრია ის თუ ნეიტრალურია. თუმცა ევროკავშიროს წევრი სახელმწიფოები ავითარებენ თანამშრომლობას სამხედრო სფეროში სამშვიდობო მისიების საწარმოებლად.*
- *ევროკავშირი გავლენიანი ძალაა საერთაშორისო ვაჭრობაში და მუშაობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ღია ბაზრებისა და წესებზე დაფუძნებული სავაჭრო სისტემის დასამკვიდრებლად.*
- *ისტორიული მიზეზების და გეოგრაფიული სიახლოვის გამო ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აფრიკას (განვითარების სფეროში დახმარების პოლიტიკა, სავაჭრო პრიორიტეტები, საკვები პროდუქტებით დახმარება და ადამიანის უფლებები).*

ეკონომიკის, ვაჭრობისა და მონეტარული თვალსაზრისით ევროკავშირი მსოფლიოში მნიშვნელოვანი ძალა გახდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები ევროკავშირს ახასიათებენ როგორც ეკონომიკურ გიგანტს, მაგრამ პოლიტიკურ ჯუჯას. ეს დიდი გადაჭარბებაა. ევროკავშირს დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებზე, მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ უწყებებზე, ასევე გარემოს დაცვისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით მოწვეულ მსოფლიო სამიტებზე.

და მაინც, ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს დიპლომატიური და პოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილად გრძელი გზა აქვთ გასავლელი, სანამ ისინი შეძლებენ ერთხმად ილაპარაკონ ძირითადი მსოფლიო პრობლემების შესახებ. რაც მთავარია, ეროვნული სუვერენობის არსებითი ელემენტი - თავდაცვის სისტემები - რჩება ეროვნული მთავრობების ხელში, რომლებიც სხვადასხვა ალიანსში, მაგალითად, ნატო-ში არიან გაერთიანებულნი.

I. საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა

(ა) ევროპული დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბება

ევროკავშირის ძირითად ამოცანებს საგარეო პოლიტიკის სფეროში განსაზღვრავენ მაასტრიხტის (1992), ამსტერდამის (1997) და ნიცის (2001) ხელშეკრულებების საფუძველზე შემოღებული საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა და ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირმა შეიმუშავა თავისი „მეორე ბურჯი“, რომლის პოლიტიკაც განისაზღვრება მთავრობებს შორის შეთანხმებით და რომელშიც ევროკ-ომისია და ევროპარლამენტი მხოლოდ მცირედ როლს ასრულებენ. ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღება ხდება კონსენსუსის საფუძველზე, თუმცა ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავი შეიკავონ. და მართალია, ლისაბონის ხელშეკრულებამ უარი თქვა „ბურჯებზე“ ევროკავშირის სტრუქტურაში, მას არ შეუცვლია ის, თუ რა გზით ხდება გადაწყვეტილებების მიღება უშიშროებისა და თავდაცვის სფეროებში. მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულე-ბამ შეცვალა პოლიტიკის სახელწოდება - „ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა“ - და მას „უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკა“ უწოდა. ხელშეკრულებამ ასევე აამაღლა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის პრესტიჟი - შემოიღო საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა.

ევროკავშირი ახორციელებს სამოქალაქო თუ სამხედრო სამშვიდობო ოპერაციებს, როგორიცაა, მაგალითად მეკობრეობასთან მებრძოლი ძალები სომალის სანაპიროზე.

2009 წლის 1 დეკემბრიდან ეს თანამდებობა უკავია კეტრინ ეშტონს (გაერთიანებული სამეფო), რომელიც ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტიც არის. იგი წარმოადგენს ევროკავშირის კოლექტიურ თვალსაზრისს და მოქმედებს ევროკავშირის სახელით საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო კონფერენციებზე. ამ საქმიანობაში მას დახმარებას უწევს ევროკავშირის და წევრ სახელმწიფოთა ათასობით მოხელე, რომლებიც შედიან ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურში - ფაქტობრივად, ევროკავშირის დიპლომატიურ სამსახურში.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოება, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა - არა მარტო მის უშუალო სამეზობლოში (მაგალითად, ბალკანეთში), არამედ სხვა ცხელ წერტილებშიც მთელ მსოფლიოში, მაგალითად, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ამ პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია „რბილი ძალა“ (არასამხედრო მეთოდების გამოყენება), რაც გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორებიც არის არჩევნების სადამკვირვებლო მისიები, ჰუმანიტარული დახმარება და დახმარება განვითარებაში. 2012 წელს ევროკავშირის მიერ გაწეული ჰუმანიტარული დახმარება 1.3 მილიარდი ევროს ტოლი იყო. ევროკავშირი უზრუნველყოფს მსოფლიოში გაწეული განვითარებაში დახმარების 60%-ს და მხარს უჭერს მსოფლიოს ყველაზე შეჭირვებულ ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში, მათი მოსახლეობის გამოკვებაში, ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილებაში, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და დაავადებებთან ბრძოლაში. ამავე დროს ევროკავშირი აქტიურად ახალისებს ამ ქვეყნებს, რათა მათ პატივი სცენ კანონის უზენაესობის პრინციპს და თავიანთი ბაზრები გახსნან საერთაშორისო ვაჭრობისთვის. ევროკომისია და ევროპარლამენტი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ, რომ დახმარება გაწეული იყოს ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვით და სათანადოდ იყოს მართული და გამოყენებული.

შეუძლია თუ არა ევროკავშირს და აპირებს თუ არა იგი, გასცდეს ამ „რბილი ძალის“ დიპლომატიის ფარგლებს? ეს არის მომავალი წლების მთავარი გამოწვევა. ძალიან ხშირად ევროპული საბჭოს ერთობლივი განცხადებები და საერთო პოზიციის გამომხატველი დოკუმენტები უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების შესახებ დაკავშირებით (როგორებიც არის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესი, ერაყის საკითხი, ტერორიზმი, ურთიერთობა რუსეთთან, ირანთან, კუბასთან და ა.შ.) მეტს არაფერს ასახავენ, თუ არა იმ მინიმალურ საერთო პოზიციას, რაც მათ აერთიანებთ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ამასობაში მსხვილი წევრი სახელმწიფოები აგრძელებენ საკუთარი ინდივიდუალური დიპლომატიური როლების თამაშს. მაგრამ ევროკავშირი მაშინ აღიქმება გლობალური მასშტაბის მოთამაშედ, როდესაც ყველა თავისი წევრის სახელით ერთხმად ლაპარაკობს. იმისათვის, რომ გაიზარდოს მის მიმართ ნდობა და მისი გავლენა, ევროკავშირის ეკონომიკურ და სავაჭრო ძლიერებას თან უნდა ახლდეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის განუხრელი განხორციელება.

ბ) უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის ხელშესახები მიღწევები

2003 წლიდან ევროკავშირს გაუჩნდა შესაძლებლობა, განახორციელოს კრიზისის მოგვარების ოპერაციები, ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა ასეთი ოპერაციების ჩასატარებლად ევროკავშირს ნებაყოფლობით მისცეს უფლება, გამოეყენებინა მათი შენაერთები.

პასუხისმგებლობა ოპერაციების ჩატარებაზე აკისრია რამდენიმე პოლიტიკურ-სამხედრო უწყებას: საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ და ბრიუსელში განლაგებულ პოლიტიკურ და უშიშროების კომიტეტს, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს, კრიზისების მართვის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტს და ევროკავშირის სამხედრო შტაბს.

სწორედ აღნიშნული ინსტრუმენტები სძენს რეალურ ძალას უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკას. ისინი ევროკავშირს აძლევენ შესაძლებლობას, შეასრულოს დასახული ამოცანები - ჰუმანიტარული და სამშვიდობო მისიები. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ამ მისიების საქმიანობის დუბლირება ნატო-ს საქმიანობასთან და ამის საშუალებაა ნატო-სა და ევროკავშირს შორის შეთანხმებული მექანიზმები „ბერლინი პლიუსი“. ეს მექანიზმები ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომს ხდის ნატო-ს ლოგისტიკურ რესურსებს (აღმოჩენისთვის, კომუნიკაციისთვის, სარდლობისა და ტრანსპორტირებისათვის).

2003 წლიდან ევროკავშირმა 30 სამხედრო ოპერაცია და სამოქალაქო მისია წამოიწყო. პირველი იყო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სადაც ევროკავშირის შენაერთებმა შეცვალეს ნატო-ს ძალები. ევროპული დროშით წარმოებული ეს მისიები და ოპერაციები სამ კონტინენტზე ხორციელდება ან განხორციელდა. მათ შორის არის მისია EUFOR ჩადში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, Eunavfor-ის ოპერაცია „ატლანტა“ ადენის ყურეში სომალელ მეკობრეებთან საბრძოლველად, მისია EULEX კოსოვოში კანონის უზენაესობის დამყარებაში დახმარების გასაწევად და მისია EUPOL ავღანეთში ავღანური პოლიციის ტრენინგში დახმარების გასაწევად.

ვინაიდან სამხედრო ტექნოლოგია სულ უფრო იხვეწება და ძვირდება, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია შეიარაღების ერთობლივად წარმოება - განსაკუთრებით დღეს, როდესაც წევრი სახელმწიფოები ცდილობენ, ფინანსური კრიზისის დაძლევის მიზნით შეამცირონ სახელმწიფო დანახარჯები. გარდა ამისა, იმისათვის, რომ მათმა შეიარაღებულმა ძალებმა ევროპის ფარგლებს გარეთ ერთობლივი მისიები განახორციელონ, მათ უნდა შექმნან ქსელური სისტემები და საკმარისად სდანდარტიზებული ტექნიკა. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის განვითარების მიზნით, 2003 წელს თესალონიკში ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ევროპის თავდაცვის უწყების დაარსების შესახებ. ეს უწყება ოფიციალურად 2004 წელს ჩამოყალიბდა.

II. მთელი მსოფლიოსათვის მისაწვდომი სავაჭრო პოლიტიკა

ევროკავშირის, როგორც სავაჭრო ძალის, მნიშვნელობა მას დიდ საერთაშორისო გავლენას ანიჭებს. ევროკავშირი მხარს უჭერს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (რომელშიც 159 წევრია) წესებზე დაფუძნებულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების კანონიერებასა და გამჭვირვალობას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ადგენს პირობებს, რომელთა თანახმად მის წევრებს შეუძლიათ თავი დაიცვან არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისგან, მაგალითად, დამპინგისგან (საქონლის გაყიდვისგან მის ღირებულებაზე დაბალ ფასად), რასაც ექსპორტიორები

ევროკავშირი ხელს უწყობს ბაზრების გახსნას და ვაჭრობის განვითარებას მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (მსო) მრავალმხრივ ფორმატში.

მიმართავენ ხოლმე კონკურენტებთან საბრძოლველად. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ასევე უზრუნველყოფს ორ ან მეტ სავაჭრო პარტნიორს შორის არსებული დავის მოგვარებისათვის საჭირო პროცედურას.

2001 წლიდან, სავაჭრო მოლაპარაკებების „დოჰას რაუნდის“ მეშვეობით, ევროკავშირი ცდილობს, გააააქტიუროს მსოფლიო ვაჭრობა. ეს რთული მოლაპარაკებებია, მაგრამ ევროკავშირს სჯერა, რომ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის მასშტაბის შემცირება ეკონომიკურ ვარდნას სრულ დეპრესიად აქცევს.

ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის განვითარების პოლიტიკასთან. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ზოგადი სისტემის საფუძველზე ევროკავშირმა განვითარებადი და გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებიდან შემოსულ პროდუქციას თავის ბაზარზე უმეტესწილად დაუბეგრავად და დაბალი ფასებით შესვლის ნება დართო. მსოფლიოს ყველაზე ღარიბ 49 ქვეყანას კიდევ უფრო დიდი შეღავათი ეძლევა. მთელი მათი ექსპორტი, გარდა იარაღისა, ევროკავშირის ბაზარზე დაუბეგრავი შესვლის უფლებით სარგებლობს.

თუმცა ევროკავშირს არ გააჩნია კონკრეტული სავაჭრო შეთანხმებები თავის ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან – ინდუსტრიულ ქვეყნებთან, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიასთან. მათთან სავაჭრო ურთიერთობები რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მექანიზმებზე დაყრდნობით, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ორმხრივი შეთანხმებების თაობაზე. ევროკავშირი აფართოებს სავაჭრო ურთიერთობებს ახალ პარტნიორებთან მსოფლიოს სხვა ნაწილებში, დაწყებული ჩინეთით და ინდოეთით და დამთავრებული ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებით. ამ ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებები ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობასაც მოიცავს. ჩინეთი ევროკავშირის მნიშვნელობით მეორე სავაჭრო პარტნიორი (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ) და ყველაზე დიდი მომწოდებელი გახდა (2012 წელს ევროკავშირში იმპორტირებული საქონლის 17%-ზე მეტი ჩინეთიდან მოდიოდა). ევროკავშირი რუსეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი და უცხოური ინვესტიციების უდიდესი წყაროა. ვაჭრობის გარდა, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ძირითადად ტრანსნაციონალურ საკითხებს ეხება, როგორიც არის ენერგომომარაგების, კერძოდ, გაზმომარაგების უსაფრთხოება.

III. აფრიკა

ევროპასა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულ ქვეყნებს შორის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. 1957 წელს რომში დადებული ხელშეკრულების თანახმად, წევრი ქვეყნების მაშინდელი კოლონიები და ტერიტორიები ევროპული გაერთიანების მოკავშირეები გახდნენ. დეკოლონიზაციის პროოცესმა, რომელიც 1960-იანი წლების დამდეგს დაიწყო, ეს კავშირი სხვა ტიპის – სუვერენულ ქვეყნებს შორის არსებულ კავშირად გადააქცია.

კოტონუს შეთანხმებით, რომელსაც 2000 წელს ბენინის დედაქალაქ კოტონუში მოეწერა ხელი, ახალი ეტაპი დაიწყო ევროკავშირის განვითარების პოლიტიკაში. ევროკავშირსა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს შორის დადებული ეს შეთანხმება ყველაზე ამბიციური და შორსმიმავალი შეთანხმებაა ვაჭრობისა და დახმარების სფეროებში, რაც კი ოდესმე გაფორმებულა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ეს შეთანხმება ეფუძნებოდა 1975 წელს ტოგოს დედაქალაქ ლომეში ხელმოწერილ ლომეს კონვენციას და შემდგომში რეგულარულად ხდებოდა მისი განახლება.

ახალი შეთანხმება ბევრად უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე წინა შეთანხმებები, ვინაიდან ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სავაჭრო ურთიერთობები ბაზრის მისაწვდომობასთან შედარებით (რომლებსაც წინა შეთანხმებები ითვალისწინებდა) უფრო მასშტაბური გახდა. ის ასევე მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ახალი პროცედურების დანერგვას.

ევროკავშირმა შემოიღო სპეციალური სავაჭრო შეღავათები ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთაგან 39-მა ხელი მოაწერა კოტონუს შეთანხმებას. 2005 წლიდან მათ საშუალება აქვთ, ევროკავშირში პრაქტიკულად ნებისმიერი სახის პროდუქტის ექსპორტი საბაჟო გადასახადის გარეშე აწარმოონ.

12. როგორი მომავალი ელის ევროკავშირს?

- *„ერთიანი ევროპა ვერ შეიქმნება ერთბაშად ან რაიმე ერთი გეგმის მიხედვით. იგი აშენდება კონკრეტული მიღწევების მეშვეობით, რომლებიც მოიტანს დე ფაქტო სოლიდარობას.“*
- *1950 წელს ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც სიმართლეა. მაგრამ რა მთავარი გამოწვევები ელის ევროპას მომავალ წლებში?*

„ერთიანი ევროპა ვერ შეიქმნება ერთბაშად ან რაიმე ერთი გეგმის მიხედვით. იგი აშენდება კონკრეტული მიღწევების მეშვეობით, რომლებიც მოიტანს დე ფაქტო სოლიდარობას.“ ეს არის რობერ შუმანის სიტყვები მისი ცნობილი დეკლარაციიდან, რომლითაც 1950 წლის 9 მაისს დაიწყო ევროპული ინტეგრაციის პროექტი. სამოცი წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც სიმართლეა. საჭიროა ევროპის ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის სოლიდარობის მუდმივად მისადაგება იმ ცვლილებებისადმი, რომლებსაც ცვალებადი მსოფლიო წარმოშობს. 1990-იანი წლების დასაწყისში ერთიანი ბაზრის საბოლოოდ ჩამოყალიბება უდიდესი მიღწევა იყო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. იმისათვის, რომ ბაზარი ქმედითი გამხდარიყო, საჭირო იყო ევროს შემოღება – რაც 1999 წელს მოხდა. ევროს სამართავად და ფასთა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა ევროპის ცენტრალური ბანკი. მაგრამ 2008-09 წლების ფინანსურმა კრიზისმა და 2010 წლის სასესხო კრიზისმა ცხადყო ევროს მოწყვლადობა გლობალური მასშტაბის სპეკულაციების იერიშების მიმართ. ევროპის ცენტრალური ბანკის არსებობის გარდა, საჭიროა წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკების კოორდინირება – ბევრად უფრო საფუძვლიანი კოორდინირება, ვიდრე ის, რომელსაც ამჟამად Eurogroup-ი ახორციელებს. დასახავს თუ არა ევროკავშირი გეგმებს ახლო მომავალში ნამდვილად ერთიანი ეკონომიკური მმართველობის მისაღწევად?

ჟან მონემ, ევროპული ინტეგრაციის დიდმა შემოქმედმა, 1976 წელს თავისი მოგონებები შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „წარსულის სუვერენულ სახელმწიფოებს აღარ ძალუძთ აწმყოში არსებული პრობლემების მოგვარება: ისინი ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ პროგრესს და ვერ გააკონტროლებენ საკუთარ მომავალს. და თავად თანამეგობრობაც მხოლოდ ეტაპია ხვალინდელი ორგანიზებული მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე.“ თუ დღევანდელ გლობალიზებულ ეკონომიკას შევხედავთ, ხომ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ევროკავშირი ვეღარ ართმევს თავს პოლიტიკურ გამოწვევებს? ან ხომ არ უნდა დავსვათ კითხვა, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ნახევარ მილიარდზე მეტი ევროპელის – რომლებიც საერთო ფასეულობებსა და ინტერესებს იზიარებენ – სრული პოტენციალის გამონთავისუფლება?

ევროკავშირში შესაძლოა სულ მალე განსხვავებული ისტორიის, ენისა და კულტურის მქონე 30-ზე მეტი წევრი სახელმწიფო შევიდეს. შეძლებს თუ არა სახელმწიფოთა ესოდენ მრავალფეროვანი ოჯახი საერთო პოლიტიკური „საჯარო სივრცის ჩამოყალიბებას? შეძლებენ თუ არა მისი მოქალაქეები „ევროპელობის“ საზიარო განცდის ჩამოყალიბებას და, ამავე დროს, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი რეგიონისა და საკუთარი თემისადმი მჭიდრო კავშირების შენარჩუნებას? შესაძლოა, შეძლებენ, თუკი დღევანდელი წევრი სახელმწიფოები მისდევენ სულ პირველი ევროპული თანამეგობრობის – ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების – მაგალითს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ნანგრევებიდან აღმოცენდა. მისი მორალური კანონზომიერება ეფუძნებოდა შერიგებას და მშვიდობის მშენებლობას ყოფილ მტრებს შორის. იგი ემყარებოდა პრინციპს, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს – დიდსა თუ პატარას – თანასწორი უფლებები აქვს და პატივს სცემდა უმცირესობებს.

იქნება თუ არა შესაძლებელი ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება იმ მტკიცებაზე დაყრდნობით, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და მათ ხალხებს ერთი და იგივე სურვილი ამოძრავებთ? თუ ევროკავშირის ლიდერები უკეთესად გამოიყენებენ „განმტკიცებული თანამშრომლობის“ მექანიზმებს, რომელთა საფუძველზე წევრ სახელმწიფოთა ზოგიერთი ჯგუფი ნაბიჯს გადადგამს ამა თუ იმ მიმართულებით და არ გაითვალისწინებს სხვების მისწრაფებებს? ამგვარი მექანიზმების გამრავლებამ შესაძლოა გამოიწვიოს à la carte ანუ „ცვლადი გეომეტრიის“ მქონე ევროპის ჩამოყალიბება, სადაც თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეეძლება აირჩიოს, ამა თუ იმ პოლიტიკას მისდიოს თუ რომელიმე კონკრეტული ინსტიტუტის ნაწილი გახდეს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შესაძლოა მიმზიდველად მარტივი მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ევროკავშირის დასასრულის დასაწყისი შეიძლება გახდეს, ვინაიდან ევროკავშირი თავისი საქმიანობისას წინასწარ ითვალისწინებს თავისი წევრი ქვეყნების საერთო ინტერესებს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. იგი ემყარება სოლიდარობის კონცეფციას – რაც გულისხმობს როგორც ხარჯების, ისე უპირატესობების გაზიარებას. ეს გულისხმობს საერთო წესებისა და საერთო პოლიტიკის არსებობას. შეღავათებს, გადახვევებსა და მონაწილეობაზე უარს მხოლოდ გამონაკლისის სახე უნდა ჰქონდეს და ხანმოკლე უნდა იყოს. შეიძლება ზოგჯერ აუცილებელი იყოს დროებითი ზომების გატარება და რაიმე ახლის ეტაპობრივი შემოღება, მაგრამ თუ ყველა წევრი სახელმწიფო არ დაიცავს ერთსა და იმავე წესებს და არ იმუშავებს ერთი და იმავე მიზნების მისაღწევად, სოლიდარობა დაირღვევა და გაქრება ძლიერ და ერთიან ევროპაში ცხოვრების უპირატესობები.

ამავე დროს, ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, რომ ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ფულად ერთეულად ევროს იყენებენ, დამოკიდებულების განსაკუთრებულ სიტუაციაში არიან, რამაც განაპირობა, რომ ისინი ფუნქციონირებენ ევროკავშირში ქვეყნების მთავარი ჯგუფის სახით.

გლობალიზაცია იძულებულს ხდის ევროპას, კონკურენცია გაუწიოს არა მარტო თავის ტრადიციულ მეტოქეებს (იაპონიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს), არამედ სწრაფად აღმავალ ეკონომიკურ სახელმწიფოებსაც, მაგალითად, ბრაზილიას, ჩინეთს და ინდოეთს. შეუძლია თუ არა ევროკავშირს გააგრძელოს საკუთარ ერთიან ბაზარზე შესვლის შეზღუდვა თავისი სოციალური და

ხვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად დღეს ევროპელებმა ერთად უნდა იმუშავონ

გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის მიზნით? ასეც რომ მოიქცეს, შეიძლება მაინც ვერ გაუმკლავდეს საერთაშორისო კონკურენციის ულმობელ რეალობას. ერთადერთი გამოსავალი ევროპისათვის არის ნამდვილად გლობალური მასშტაბის მოთამაშედ ქცევა, მსოფლიო არენაზე უნისონში მოქმედება და საკუთარი ინტერესების ქმედითი დაცვა ერთიანი ხმით გამოსვლის მეშვეობით. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური ერთობისკენ სვლით. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ერთად უნდა უზრუნველყონ ევროკავშირი ძლიერი და თანმიმდევრული ხელმძღვანელობით.

ამავე დროს ევროკავშირს სჭირდება მეტი სიახლოვე თავის მოქალაქეებთან. ევროპარლამენტი – რომელსაც ყოველი ახალი ხელშეკრულება მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს – ყოველ ხუთ წელიწადში აირჩევა პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით. მაგრამ ამ არჩევნებში რეალურად მონაწილე ადამიანების პროცენტული ოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში და ხშირად დაბალია. ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრ სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე დგას გამოწვევა – მოიძიონ და აღმოაჩინონ უკეთესი არხები საზოგადოების ინფორმირების და მასთან კომუნიკაციისათვის (განათლების, არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის მეშვეობით და ა.შ.) და ამ გზით ხელი შეუწყონ საერთოევროპული საზოგადოებრივი სივრცის ჩამოყალიბებას, რომელშიც ევროკავშირის მოქალაქეები შეძლებენ პოლიტიკური კურსისა და დღის წესრიგის ფორმულირებას.

დაბოლოს, ევროკავშირმა მთელი თავისი სიძლიერით უნდა დაიმკვიდროს თავი საერთაშორისო საქმეებში. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი სიძლიერეა მისი უნარი, საკუთარ საზღვრებს მიღმა გაავრცელოს ევროპული ფასეულობები – ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა, გარემოს დაცვა და სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სოციალური სტანდარტების შენარჩუნება. არასრულყოფილი ევროკავშირი ვერ გამოდგება მაგალითად დანარჩენი კაცობრიობისთვის. მაგრამ თუ ევროპა წარმატებული იქნება, სხვა რეგიონები შეეცდებიან, მიბაძონ მას. რა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებად ევროკავშირისთვის მომავალ წლებში? მისი ფინანსური სფეროს დაბალანსება; მისი მოსახლეობის დაბერების საკითხისთვის თავის გართმევა იმგვარად, რომ ამან არ მოახდინოს უსამართლო ზემოქმედება მომავალ თაობაზე; სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის – განსაკუთრებით ბიოტექნოლოგიის სფეროში – მიერ მოტანილ უზამაზარ გამოწვევებზე ეთიკური რეაგირების გამონახვა; მისი მოქალაქეებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მათი თავისუფლების ხელყოფის გარეშე. თუ ევროპა ამ ყველაფერს მოახერხებს, ის დანარჩენი მსოფლიოსათვის აღმაფრენის წყაროდ იქცევა.

უმნიშვნელოვანესი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში

1950

9 მაისი
ჟან მონეს იდეებით შთაგონებულ სიტყვაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა წამოაყენა წინადადება, რომ საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც სურს მათთან შემოერთება, გააერთიანონ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები ახალ ორგანიზაციაში.

1951

18 აპრილი
პარიზში ექვსმა სახელმწიფომ – ბელგიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა – ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. ხელშეკრულება 1952 წლის 23 ივლისს შევიდა ძალაში 50 წლიანი პერიოდით.

1955

1-2 ივნისი
ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს მესინაში და გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის გავრცელება ეკონომიკის ყველა სფეროზე.

1957

25 მარტი
რომში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა („ევროატომი“). ეს ხელშეკრულებები 1958 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.

1960

4 იანვარი
გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით ხელმოწერილი იქნა სტოკჰოლმის კონვენცია, რომლის საფუძველზე დაარსდა ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ამ ასოციაციაში შევიდნენ ის ქვეყნებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრებს.

1963

20 ივლისი
იაუნდეში ხელმოწერილი იქნა ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროგაერთიანებასა და აფრიკის 18 სახელმწიფოს შორის.

1965

8 აპრილი
ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოხდა სამი თანამეგობრობის (ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ატომური ენერგიის თანამეგობრობის) აღმასრულებელ ორგანოთა შერწყმა და ერთი საბჭოსა და ერთი კომისიის ჩამოყალიბება. ეს ხელშეკრულება ძალაში 1967 წლის 1 ივლისს შევიდა.

1966

29 იანვარი
მიღწეულია „ლუქსემბურგის კომპრომისი“: პოლიტიკური კრიზისის შემდეგ საფრანგეთმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი საბჭოში, სანაცვლოდ კი შენარჩუნებული იქნა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურა, როდესაც საფრთხე ემუქრება „სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნულ ინტერესებს“.

1968

1 ივლისი
განრიგით გათვალისწინებულზე 18 თვით ადრე გაუქმდა შემორჩენილი საბაჟო გადასახადები წევრ სახელმწიფოებს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში და შემოღებული იქნა საერთო ტარიფი გარე საზღვრებზე.

1969

1 და 2 დეკემბერი
ჰაგის სამიტზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება და მისი პირველი გაფართოება.

1970

22 აპრილი
ლუქსემბურგში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ევროპულ გაერთიანებებს თანდათანობით უნდა შემოეღოთ „საკუთარი რესურსების“ სისტემა. გარდა ამისა, ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროპარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება.

1973

1 იანვარი
დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო უერთდებიან ევროგაერთიანებებს, რომლებშიც ახლა უკვე ცხრა წევრი სახელმწიფო შედის. რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგიამ უარი თქვა გაწევრიანებაზე.

1974

-10 დეკემბერი
პარიზის სამიტზე ცხრა წევრი სახელმწიფოს პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, ევროპული საბჭოს სახით შეიკრიბონ წელიწადში სამჯერ; გარდა ამისა, მათ დაადგინეს ევროპის პარლამენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება საყოველთაო კენჭისყრის საშუალებით და შეთანხმდნენ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის დაარსებაზე.

1975

28 თებერვალი
ლომეში ხელმოწერილი იქნა პირველი კონვენცია ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და აფრიკის, კარიბისზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 46 სახელმწიფოს შორის.

22 ივლისი
ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპარლამენტს უფრო ფართო საბიუჯეტო უფლებამოსილება მიენიჭა და დაარსდა აუდიტორთა სასამართლო. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1977 წლის 1 ივნისს.

1979

7-10 ივნისი
ჩატარდა 410 ადგილიანი ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.

1981

1 იანვარი
ევროგაერთიანებას უერთდება საბერძნეთი და გაერთიანებაში ახლა უკვე ათი წევრი სახელმწიფო შედის.

1984

14 და 17 ივნისი
მეორედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

1985

7 იანვარი
ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა ჟაკ დელორი (1985-95).

14 ივნისი
ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროგაერთიანებათა წევრ სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო შემოწმებების გაუქმებას.

1986

1 იანვარი
ევროგაერთიანებას უერთდებიან ესპანეთი და პორტუგალია. წევრთა რაოდენობა 12 ხდება.

17 და 28 თებერვალი
ლუქსემბურგში და ჰააგაში ხელმოწერილი იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელიც ძალაში შედის 1987 წლის 1 ივლისს.

1989

15 და 18 ივნისი
მესამედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

9 ნოემბერი
ბერლინის კედლის დანგრევა.

1990

3 ოქტომბერი
გერმანიის გაერთიანება.

1991

9-10 დეკემბერი
ევროპული საბჭოს მაასტრიხტის სხდომაზე მოწონებული იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკას, უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მართლმსაჯულებასა და შინაურ საქმეებში და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის, მათ შორის საერთო ფულადი ერთეულის, შექმნას.

1992

7 თებერვალი
მაასტრიხტში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, რომელიც ძალაში 1993 წლის 1 ნოემბერს შევიდა.

1993

1 იანვარი
დაარსდა ერთიანი ბაზარი.

1994

9 და 12 ივნისი
მეოთხედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

1995

1 იანვარი
ევროკავშირს უერთდებიან ავსტრია, ფინეთი და შვეცია. წევრთა რაოდენობა 15 ხდება. რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგია კვლავ უარს ამბობს გაწევრიანებაზე.

23 იანვარი
მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ჟაკ სანტერი (1995-99).

27-28 ნოემბერი
ბარსელონაში ჩატარდა ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კონფერენცია, რომელზეც სათავე დაედო ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე განლაგებულ ქვეყნებს შორის პარტნიორობას.

1997

2 ოქტომბერი
ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა.

1998

30 მარტი
იწყება ახალი კანდიდატი ქვეყნების გაწევრიანების პროცესი, რომელშიც ჩაერთვებიან კვიპროსი, მალტა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა.

1999

1 იანვარი
ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ მიიღო ევრო, რომელმაც შეცვალა მათ ფულადი ერთეულები უნაღდო ანგარიშსწორებისათვის ფინანსურ ბაზრებზე. ევროპის ცენტრალურ ბანკს ეკისრება პასუხისმგებლობა მონეტარულ პოლიტიკაზე. 2001 წლის 1 იანვარს საბერძნეთი ხდება მე-12 ქვეყანა, რომელმაც მიიღო ევრო.

10 და 13 ივნისი
ევროპარლამენტის წევრთა მეხუთე პირდაპირი არჩევნები.

15 სექტემბერი
მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება რომანო პროდი (1999-2004).

15-16 ოქტომბერი
ევროპული საბჭოს ტამპერეში გამართულ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირის თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცედ გადაქცევის შესახებ.

2000

23-24 მარტი
ევროპული საბჭოს ლისაბონში გამართულ სხდომაზე შემუშავდა ახალი სტრატეგია ევროკავშირში დასაქმების ხელშეწყობის, ეკონომიკის მოდერნიზებისა და სოციალური ერთობის განმტკიცების შესახებ ცოდნაზე დამყარებულ ევროპაში.

7–8 დეკემბერი
ნიცაში ევროპულმა საბჭომ მიაღწია შეთანხმებას ახალი ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება ცვლის ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების სისტემას საიმისოდ, რომ კავშირი მზად იყოს გაფართოებისათვის. ევროპარლამენტის, ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტებმა საზეიმოდ გამოაქვეყნეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია.

2001

26 თებერვალი
ხელი მოეწერა ნიცის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 2003 წლის 1 თებერვალს შევიდა.

14–15 დეკემბერი
ევროპული საბჭოს ლიკენის სხდომა: შეთანხმებული იქნა დეკლარაცია ევროკავშირის მომავლის თაობაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის მომავალ მნიშვნელოვან რეფორმირებას და კონვენტის ჩამოყალიბებას (რომლის თავმჯდომარე ვალერი ჟისკარ დესტენი გახდა) ევროპის კონსტიტუციის ტექსტის მოსამზადებლად.

2002

1 იანვარი
ევროს სივრცეში შემავალ 12 ქვეყანაში ბრუნვას იწყებენ ევროს მონეტები და ბანკნოტები.

2003

10 ივლისი
ევროპის მომავლის კონვენტი ასრულებს ევროპის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობას.

2004

1 მაისი
ევროკავშირს შეუერთდნენ ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

10 და 13 ივნისი
ევროპარლამენტის წევრთა მეექვსე პირდაპირი არჩევნები.

29 ოქტომბერი
რომში 25 წევრი ქვეყნის სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონსტიტუციას.

22 ნოემბერი
მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტი ხდება ხოსე მანუელ ბაროზო.

2005

29 მაისი და 1 ივნისი
საფრანგეთის ამომრჩევლებმა რეფერენდუმზე კონსტიტუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, სამი დღის შემდეგ კი იგივე გააკეთეს ნიდერლანდების ამომრჩევლებმა.

3 ოქტომბერი
დაიწყო გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკება თურქეთსა და ხორვატიასთან.

2007

1 იანვარი
ევროკავშირს ბულგარეთი და რუმინეთი უერთდებიან.
სლოვენია ხდება მე-13 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

13 დეკემბერი
ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას.

2008

1 იანვარი
კვიპროსი და მალტა ხდებიან მე-14 და მე-15 ქვეყანა, რომლებშიც შემოღებულია ევრო.

2009

1 იანვარი
სლოვაკეთი ხდება მე-16 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

4–7 ივნისი
ევროპარლამენტის წევრთა მეშვიდე პირდაპირი არჩევნები.

2 ოქტომბერი
ირლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოწონებულია ლისაბონის ხელშეკრულება.

1 დეკემბერი
ძალაში შედის ლისაბონის ხელშეკრულება.
ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპუი ხდება.
საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი ხდება.

2010

9 თებერვალი
ევროპარლამენტი თანხმობას გასცემს ახალი ევროკომისიის შემადგენლობაზე, რომლის პრეზიდენტი მეორე ვადით ხოსე მანუელ ბაროზო ხდება.

9 მაისი
ყალიბდება „ევროპის სტაბილურობის მექანიზმის“ წინამორბედი 750 მილიარდი ევროს თანხით. ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ ნაბიჯთაგან, რომელთა მიზანი იყო ევროპისთვის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაძლევაში დახმარების გაწევა

2011

1 იანვარი
ესტონეთი ხდება მე-17 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

2012

2 მარტი
ევროკავშირის 25 წევრი ქვეყანა ხელს აწერს ხელშეკრულებას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შესახებ. ეს ხელშეკრულება 2013 წლის 1 იანვარს შედის ძალაში.

2013

1 ივლისი
ევროკავშირის წევრი ხორვატია ხდება.

2014

1 იანვარი
ლატვია ხდება მე-18 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

22-25 მაისი
ევროპარლამენტის წევრთა მერვე პირდაპირი არჩევნები.

2015

1 იანვარი
ლიტვა ხდება მე-19 ქვეყანა, რომელშიც შემოღებულია ევრო.

Getting in touch with the EU

ONLINE

Information in all the official languages of the European Union is available on the Europa website: www.europa.eu

IN PERSON

All over Europe there are hundreds of local EU information centres. You can find the address of the centre nearest to you at: www.europedirect.europa.eu

ON THE PHONE OR BY MAIL

Europe Direct is a service which answers your questions about the European Union. You can contact this service by freephone: 00 800 6 7 8 9 10 11 (certain mobile telephone operators do not allow access to 00800 numbers or may charge for these calls), or by payphone from outside the EU: +32 22999696, or by e-mail via www.europedirect.europa.eu

READ ABOUT EUROPE

Publications about the EU are only a click away on the EU Bookshop website: www.bookshop.europa.eu

You can also obtain information and booklets in English about the European Union from:

EUROPEAN COMMISSION REPRESENTATIONS

European Commission
Representation in Ireland
European Union House
18 Dawson Street
Dublin 2
IRELAND
Tel. +353 16341111
Internet: http://www.ec.europa.eu/ireland
E-mail: eu-ie-info-request@ec.europa.eu

European Commission Representation in the United Kingdom
Europe House
32 Smith Square
London SW1P 3EU
UNITED KINGDOM
Tel. +44 2079731992
Internet: http://www.ec.europa.eu/uk

European Commission Office in Northern Ireland
74-76 Dublin Road
Belfast BT2 7HP
UNITED KINGDOM
Tel. +44 2890240708
Internet: http://www.ec.europa.eu/uk

European Commission Office in Scotland
9 Alva Street
Edinburgh EH2 4PH
UNITED KINGDOM
Tel. +44 1312252058
Internet: http://www.ec.europa.eu/uk

European Commission Office in Wales
2 Caspian Point, Caspian Way
Cardiff CF10 4QQ
UNITED KINGDOM
Tel. +44 2920895020
Internet: http://www.ec.europa.eu/uk

Delegation in the United States
2175 K Street, NW
Washington DC 20037
UNITED STATES OF AMERICA
Tel. +1 2028629500
Internet: http://www.eurunion.org

EUROPEAN PARLIAMENT INFORMATION OFFICES

Information Office in Ireland
43 Molesworth Street
Dublin 2
IRELAND
Tel. +353 16057900
Internet: http://www.europarl.ie
E-mail: epdublin@europarl.europa.eu

Information Office
in the United Kingdom
Europe House
32 Smith Square
London SW1P 3EU
UNITED KINGDOM
Tel. +44 2072274300
Internet: http://www.europarl.org.uk
E-mail: eplondon@europarl.europa.eu

Information Office in Scotland
The Tun, 4 Jackson's Entry
Holyrood Road
Edinburgh EH8 8PJ
UNITED KINGDOM
Tel. +44 1315577866
Internet: http://www.europarl.org.uk
E-mail: epedinburgh@europarl.europa.eu

There are European Commission and Parliament representations and offices in all the countries of the European Union.
The European Union also has delegations in other parts of the world.

ევროკავშირი

ევროკავშირის წევრი ქვეყნები (2014)

კანდიდატი ქვეყნები და პოტენციური კანდიდატები

ევროპა: 12 გაკვეთილი

NA-02-13-714-EN-C

რა მიზანს ემსახურება ევროკავშირი? რატომ და როგორ ჩამოყალიბდა იგი? როგორ ფუნქციონირებს? რას მიაღწია ევროკავშირმა დღეისათვის თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ და რა ახალი გამოწვევები დგას მის წინაშე?

შეუძლია თუ არა ევროკავშირს გლობალიზაციის ეპოქაში წარმატებით გაუწიოს კონკურენცია სხვა უმსხვილეს ეკონომიკურ სისტემებს და შეინარჩუნოს თავისი სოციალური სტანდარტები? როგორი იქნება ევროპის როლი მსოფლიო არენაზე მომავალ წლებში? სად გაივლის ევროკავშირის საზღვრები? და რა მომავალი აქვს ევროს?

ეს ზოგიერთია იმ საკითხებიდან, რომლებსაც ევროკავშირის ექსპერტი პასკალ ფონტენი – ჟან მონეს ყოფილი ასისტენტი და პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი – განიხილავს თავისი პოპულარული ბროშურის – „ევროპა: 12 გაკვეთილი“ ამ გამოცემაში.

პუბლიკაციათა სამსახური

ISBN 978-92-79-34280-6
doi:10.2775/36518